



ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის  
უფლებათა ოფისი

საქართველო

ადგილობრივი თვითმმართველობის  
წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს  
არჩევნები  
2006 წლის 5 ოქტომბერი

OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე დაკვირვების  
შეზღუდული მისიის საბოლოო ანგარიში



ვარშავა  
2006 წლის 20 დეკემბერი

## სარჩევი

|       |   |    |
|-------|---|----|
| I.    | მოკლე მიმოხილვა.....  | 1  |
| II.   | შესავალი და მადლიერება გაწეული დახმარებისათვის.....                     | 3  |
| III.  | ისტორია.....  | 5  |
| IV.   | საკანონმდებლო ჩარჩო.....  | 6  |
| V.    | საარჩევნო ადმინისტრაცია.....  | 9  |
| ა.    | საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა და შემადგენლობა.....                 | 9  |
| ბ.    | არჩევნების ორგანიზება.....  | 10 |
| გ.    | ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო დოკუმენტები... | 11 |
| დ.    | კანდიდატების რეგისტრაცია.....   | 12 |
| ე.    | კამპანიის დაფინანსება.....  | 14 |
| VI.   | ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა.....                                 | 15 |
| VII.  | გენდერული წარმომადგენლობა.....  | 12 |
| VIII. | საარჩევნო კამპანია.....   | 17 |
| IX.   | მედია და არჩევნები.....   | 14 |
| ა.    | მედია გარემო.....   | 14 |
| ბ.    | მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა.....                           | 20 |
| გ.    | მედია მონიტორინგი.....  | 15 |
| X.    | დავები, საჩივრები და სარჩელები არჩევნების დღემდე.....                   | 16 |
| XI.   | სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი დამკვირვებლები.....               | 17 |
| XII.  | არჩევნების დღე.....   | 18 |
| ა.    | ზოგადი შეფასება და შეზღუდვები.....                                      | 18 |
| ბ.    | კენჭისყრა.....  | 18 |
| გ.    | ხმების დათვლა.....  | 19 |
| დ.    | შედეგების შეჯამება და გამოცხადება.....                                  | 19 |
| XIII. | არჩევნების დღის შემდგომი დავები, საჩივრები და სარჩელები.....            | 20 |
| XIV.  | რეკომენდაციები.....   | 21 |
| ა.    | ზოგადი ნაწილი.....  | 21 |
| ბ.    | საკანონმდებლო ჩარჩო.....  | 21 |
| გ.    | ამომრჩეველთა რეგისტრაცია.....   | 22 |
| დ.    | საარჩევნო ადმინისტრაცია.....  | 22 |
| ე.    | ეროვნული უმცირესობები.....  | 23 |
| ვ.    | კამპანია და კამპანიის დაფინანსება.....                                  | 23 |
| ზ.    | მედია.....  | 23 |
| თ.    | სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი დამკვირვებლები.....               | 24 |
| ი.    | არჩევნების დღე.....   | 24 |
|       | OSCE-ODIHR-ის შესახებ.....  | 27 |

საქართველო  
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს –  
საკრებულოს არჩევნები  
2006 წლის 5 ოქტომბერი

OSCE/ODIHR არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდული მისიის საბოლოო  
ანგარიში<sup>1</sup>

I. მოკლე მიმოხილვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR) 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებზე მოაწვინა არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდული მისია (LEOM). OSCE/ODIHR-მა შეაფასა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები 1990 წლის ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტთან, დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან და ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები დაინიშნა პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, კანონმდებლობით დაშვებულ ყველაზე უფრო მინიმალურ ვადაში და უფრო ადრე, ვიდრე აქამდე ხდებოდა, რამაც მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაუწესა არჩევნებში მონაწილე მხარეებს. ამას თან დაერთო მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის შეზღუდული დიალოგის არსებობა.

ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ძირითადად დაცული იყო. თუმცა, საარჩევნო კამპანიის პარალელურად აქტიურად მიმდინარე სოციალური დახმარების პროგრამები, რომელიც მოიცავდა პოლისების, საპენსიო დანამატების გადაცემასა და დროებითი დასაქმების პროგრამების განხორციელებას, ნაკლებად შესამჩნევს ხდიდა ზღვარს სახელმწიფოს საქმიანობებსა და საარჩევნო კამპანიას შორის. ამან მნიშვნელოვნად გააძლიერა მისი უპირატესობა და შეამცირა მკაფიო ზღვარი პარტიასა და სახელმწიფოს შორის, რაც ეწინააღმდეგება 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტს.

საარჩევნო კანონმდებლობა ძირითადად აკმაყოფილებდა დემოკრატიული არჩევნებისათვის დაწესებულ მოთხოვნებს, თუმცა, რამდენიმე მიმართულება ჯერ კიდევ გარკვეულ გაუმჯობესებას საჭიროებს. უნდა აღმოიფხვრას ის ხარვეზები, რომელიც OSCE/ I დ საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის ანგარიშებში და OSCE/ODIHR და ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის (VC/CoE) მიერ მომზადებულ საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესახებ ადრე

<sup>1</sup> ეს ანგარიში მოცემულია ქართულ ენაზე. თუმცა, მხოლოდ ინგლისური ვერსია არის ოფიციალური დოკუმენტი.

წარმოდგენილ საერთო მოსაზრებშია დასახელებული. ეს საჭიროა არსებული კანონმდებლობის ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების, ევროსაბჭოსა და დეკლარაციული არჩევნებისათვის დაწესებულ სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად.

2005 წლის ცლილებები, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულო საარჩევნო სისტემას შეეხებოდა, მიღებულ იქნა პოლიტიკურ აქტორებთან ფართო კონსულტაციის გარეშე. ოპოზიციამ გააკრიტიკა "გამარჯვებული იღებს ყველაფერს" საარჩევნო სისტემა თბილისისათვის, რომელმაც, მათი აზრით შეამცირა საკრებულოს წარმომადგენლობითი ხასიათი და უპირატესობა მიანიჭა მმართველ პარტიას.

საარჩევნო ადმინისტრაციამ ძირითადად უზრუნველყო მოწესრიგებული საარჩევნო პროცესის წარმართვა დროის საკმაოდ შეზღუდულ მონაკვეთში. ამომრჩეველთა განსაზღვრულმა რაოდენობამ არჩევნების დღეს ვერ იპოვა საკუთარი თავი ამომრჩეველთა სიაში, რითაც შესაძლოა მოხდა მათთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა. აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა სიების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუშაობის გაგრძელება.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ, ერთმა საარჩევნო ბლოკმა და რამდენიმე დამოუკიდებელმა კანდიდატმა. ზოგადად, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია კანონის დაცვით ჩატარდა. სამწუხაროდ მაჟორიტარული არჩევნების 27.5% და პროპორციულის 8.7%-ში ბიულეტენზე მოცემული იყო მხოლოდ ერთი კანდიდატი ან პარტიული სია – ერთის გარდა ყველა შემთხვევაში ეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იყო. აღნიშნულმა გარკვეული ჩრდილი მიაყენა არჩევნების კონკურენტულობის ხარისხს. უფრო მეტიც, დამოუკიდებელი კანდიდატების 30%-მა ვერ მოახერხა რეგისტრაციის გავლა, ვინაიდან საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ მიაწოდა ნათელი ინსტრუქციები საარჩევნო კამპანიისათვის საჭირო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ.

მედიაში შესთავაზა ამომრჩევლებს განსხვავებული მოსაზრებებისა და ძირით დი საარჩევნო პროცესების გაშუქება. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა ხელისუფლების საქმიანობას. მაუწყებლობამ ძირითადად შეასრულა თავისი ვალდებულება მოეწყო დებატები და კანდიდატებისათვის დაეთმო უფასო საეთერო დრო. სამწუხაროდ, ამ დებატებში მონაწილეობა არ მიუღია ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.

არჩევნებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის მარეგულირებელი იურიდიული ნორმები დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა მათი განხორციელება კვლავაც პრობლემატური იყო. არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდული მისიისათვის ცნობილია გახდა 110-ზე მეტი საჩივარის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდულ მისიას არ ჩაუტარებია სისტემატური მონიტორინგი არჩევნების დღეს, იგი აღნიშნავს,

რომ კენჭისყრის პროცესი ზოგადად წესრიგის დაცვით ჩატარდა და საარჩევნო კომისიების ორგანიზების დონე საკმაოდ დამაკმაყოფილებელი იყო. საარჩევნო უბნებზე გამუდმებით იმყოფებოდნენ ადგილობრივი დამკვირვებლები, თუმცა ზოგიერთი დამკვირვებელი ხანდახან ერეოდა პროცესში. ხმების დათვლის დროს არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდული მისიის დამკვირვებლებმა შენიშნეს მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევები ზოგიერთ ადგილას. ძირითადი საარჩევნო დოკუმენტების არსებობა უმცირესობათა ენებზე შესაბამის ადგილებში უფრო მეტად შეუწყობდა ხელს პროცესის სრულყოფას.

განმეორებითი არჩევნები ჩატარდა 17 ოქტომბერს, იმ 33 საარჩევნო უბნიდან 28-ში, სადაც 5 ოქტომბრის არჩევნების შედეგები დარღვევების გამო ბათილად იქნა ცნობილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ან საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ. არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდულ მისიას არ განუხორციელებია დაკვირვება განმეორებით არჩევნებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების შედეგები, განმეორებითი არჩევნების შედეგების ჩათვლით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 19 ოქტომბერს გამოაქვეყნა. მისასაღებელია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია შეეცადა პროპორციული არჩევნების შესახებ ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების მიხედვით გამოქვეყნებინა, მიუხედავად ამისა, ნოემბრის შუა რიცხვებამდე ვებ-გვერდზე ჯერ კიდევ არ იყო მოთავსებული მთელი ქვეყნის მასშტაბით საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიხედვით დაყოფილი ინფორმაცია.

ეს საბოლოო ანგარიში მოიცავს გარკვეულ რეკომენდაციებს, რომელიც OSCE/ODIHR-სა და ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის (VC/CoE) მიერ საარჩევნო კოდექსზე ადრე წარმოდგენილ საერთო მოსახრებში მოცემულ რეკომენდაციებთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს ხელისუფლების მიერ, რათა ხელი შეეწყოს მათ ძალისხმევას არჩევნები წარიმართოს ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად. OSCE/ODIHR-ი მზადაა კვლავ გააგრძელოს თანამშრომლობა ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას ამ საკითხებთან დაკავშირებით.

## II. შესავალი და მადლიერება გაწეული დახმარებისათვის

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR) გამოთქვა მზადყოფნა თბილსში სექტემბრის პირველ ნახევარში გამოევზავნა საჭიროებების შეფასების მისია<sup>2</sup> ნოემბრის ბოლოსათვის დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებზე დაკვირვების განსახორციელებლად, 2006 წლის 10

<sup>2</sup> 2006 წლის 9 ივნისს OSCE/ODIHR-მა მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებზე დაკვირვებისათვის დამატებითი მოწვევა საქართველოს პარლამენტის სპიკერის, ნინო ბურჯანაძისაგან.

მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული მოწვევის შემდეგ, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 26 აგვისტოს განკარგულების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები 2006 წლის 5 ოქტომბერს დაინიშნა, რის გამოც გადაიდო საჭიროებათა შეფასების მისიის ჩამოსვლა. შეზღუდული ვადების გამო OSCE/ODIHR-მა თბილისში 5-6 სექტემბერს ექსპერტთა გუნდი გამოაგზავნა.

ექსპერტთა გუნდის შეფასების<sup>3</sup> შედეგად 8 სექტემბერს OSCE/ODIHR-მა თბილისში გამოაგზავნა შეზღუდული საარჩევნო დამკვირვებელთა მისია, რომელიც არ ითვალისწინებდა არჩევნების დღეს სისტემატურ და ამომწურავ დაკვირვებას მოკლევადიანი დამკვირვებლების მიერ. შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას ხელმძღვანელობდა ელჩი გეორგი ჰინრის არენსი და ეს მისია შედგებოდა თბილისში განთავსებული საერთაშორისო ექსპერტების 9-კაციანი ძირითადი ჯგუფისა და 19 გრძელვადიანი დამკვირვებლისაგან, რომელიც საქართველოს 8 ადგილას იყვნენ მივლინებული. მთლიანობაში, შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია შედგებოდა ეუთო-ს წევრი 19 ქვეყნის 28 წარმომადგენლისაგან.

შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია ფოკუსირებული იყო კანდიდატების რეგისტრაციაზე, კამპანიაზე, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაზე, საჩივრებისა და სარჩელების პროცესზე და მედიის მიერ არჩევნების გაშუქებაზე. არჩევნების დღეს შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას მოკლევადიანი დამკვირვებლები არ ჰყოლია. მისიის წევრები დაესწრნენ კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესებს შეზღუდული რაოდენობის საარჩევნო უბნებზე, ასევე შედეგების შეჯამებას რამდენიმე საარჩევნო ოლქში. მისია საქართველოში 14 ოქტომბრამდე დარჩა.

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოში ჩამოვიდა ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის დელეგაცია (CLRAE), რომელსაც ბატონი ვიმ ვან გელდერი ხელმძღვანელობდა. ამ დელეგაციის მიზანი იყო თვალყური მიედევნებინა საარჩევნო პროცესებისათვის არჩევნების დღეს. არჩევნების შემდეგ დღეს შეზღუდულმა სადამკვირვებლო მისიამ გამოქვეყნა პრეს-რელიზი ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის დელეგაციასთან ერთად. OSCE/ODIHR მადლობას უხდის დელეგაციას თანამშრომლობისათვის.

მისიის საქმიანობის დროს თანამშრომლობისათვის OSCE/ODIHR ასევე მადლობას უხდის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ასევე სხვა ორგანოებს, ეუთო-ს მისიას საქართველოში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ეუთო-ს წევრი ქვეყნების საელჩოებს საქართველოში.

<sup>3</sup> დროის მცირე პერიოდის გამო ეს შეფასება მოკლედ იქნა ჩამოყალიბებული დოკუმენტში ოტე Vერბალე 411/06.

### III. ისტორია

1999 წლიდან OSCE/ODIHR-ი საქართველოში უკვე რამდენიმე საარჩევნო პროცესს<sup>4</sup> დააკვირდა და გამოჰყო როგორც ამ სფეროში მომხდარი პროგრესი ასევე ის მხარეები, სადაც ჯერ კიდევ საჭიროა გარკვეული ძალისხმევა ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების და დემოკრატიული არჩევნებისათვის დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობისათვის.

2004 წლის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მოიპოვა მნიშვნელოვანი უმრავლესობა პარლამენტში. საპარლამენტო ოპოზიცია შედგება ახალი მემარჯვენეების პარტისაგან, რომელმაც 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო პარტიასთან "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (მრეწველები) ერთად, ასევე კონსერვატიული პარტიის, რესპუბლიკური პარტიისა და ლეიბორისტული პარტიისაგან. რესპუბლიკური პარტია გამოვიდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემადგენლობიდან 2004 წელს საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ მომხდარი უთანხმოების საფუძველზე. მას მხარი დაუჭირა რამდენიმე სხვა პარლამენტის წევრმა და 2005 წლის მაისში ჩამოყალიბდა კონსერვატიული პარტია. კონსერვატიული და რესპუბლიკური პარტიები ერთად დებულობდნენ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში საარჩევნო ბლოკის – დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი – სახელით. სხვა ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ამჟამად არ არიან წარმოდგენილნი პარლამენტში, არიან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მოძრაობა თავისუფლება და საქართველოს გზა, რომელიც 2006 წლის მარტში ჩამოყალიბდა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, სალომე ზურაბიშვილის მიერ.

ოპოზიციურ პარტიებს არ მიუღიათ მონაწილეობა საპარლამენტო საქმიანობაში 2006 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე აკრიტიკებდნენ რა მთავრობას მისი ავტორიტარულობისა და არატოლერანტულობისათვის პოლიტიკური და სამოქალაქო ოპოზიციის მიმართ, ასევე სასამართლოს და მედიის დამოუკიდებლობის ეჭვქვეშ დაყენებისათვის. ოპოზიციური პარტიები განსაკუთრებით აკრიტიკებენ საარჩევნო კოდექსში<sup>5</sup> ბოლოს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც, მათი აზრით ხელს უწყობენ მმართველ პარტიას,

<sup>4</sup> ეს მოიცავს 1999 წლის და 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს, 2004 წლის განმეორებით საპარლამენტო არჩევნებს და 2000 და 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს. OSCE/ODIHR-ის შესაბამისი საბოლოო ანგარიშები მოცემულია შემდეგ ვებ-გვერდზე; [www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr).

<sup>5</sup> ეს ცვლილებები ასევე მოიცავს თბილისის საკრებულოს არჩევნების სისტემას, არჩევნების დანიშნისათვის საჭირო დროის 45-დან 40 დღემდე შემცირებას, გარდამავალ დებულებებს, რომელიც თბილისის მერს საშუალებას აძლევს დარჩეს თავის თანამდებობაზე საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ასევე ოლქების საზღვრების დადაგენას. ოპოზიცია ასევე კრიტიკულად იყო განწყობილი საპარლამენტო არჩევნებისათვის საჭირო 7%-იანი ბარიერის შესახებ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირების პროცესისა და საარჩევნო კამპანიაში თანამდებობის პირების მონაწილეობის შესახებ.

და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ შეცვლილ კანონს<sup>6</sup>. ამ კანონების მიღების შემდეგ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების მოახლოებისას, ზოგიერთი ოპოზიციური პარტია ეწეოდა არჩევნებში მონაწილეობის არ-მიღების აგიტაციას, რითიც ახდენდა პროტესტის დემონსტრაციას.

5 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნები დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 26 აგვისტოს განკარგულებით, რომელიც მეორე დღეს, 2006 წლის 27 აგვისტოს გამოქვეყნდა. არჩევნების დანიშვნა მოხდა კანონმდებლობით დაშვებულ ყველაზე უფრო მინიმალურ ვადაში, არჩევნებამდე 40 დღით ადრე, უფრო ადრე, ვიდრე სხვა დროს.

პოლიტიკური გარემო ადგილობრივი არჩევნების დროს ხასიათდებოდა დიალოგის გამართვის მინიმალური მცდელობით დომინანტურ მმართველ პარტიას - ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ოპოზიციას შორის, რომელიც მოიცავს ლეიბორისტულ პარტიას, მრეწველებს, საქართველოს გზას და რესპუბლიკურ და კონსერვატიულ პარტიებს. ორმა პოლიტიკურმა პარტიამ, "ახალმა მემარჯვენეებმა" და "ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ", ისევე, როგორც მოძრაობა "თავისუფლებამ", გადაწყვიტა არ მიეღო მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში.

#### IV. საკანონმდებლო ჩარჩო

ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმის შემდეგ. ყოფილი საბჭოთა რაიონები გადაკეთდა მუნიციპალიტეტებად და იმ ქალაქებმა, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ რომელიმე რაიონს, მიიღეს თვითმმართველი ქალაქების სტატუსი. საქართველოს ამომრჩევლებმა საერთო ეროვნული კენჭისყრის საფუძველზე 69 საკრებულო აირჩიეს 4 თვითმმართველ ქალაქში, 60 მუნიციპალიტეტში და კონფლიქტის ტერიტორიაზე არსებულ 4 თემში, ისევე როგორც თბილისში. ახლად შემოთავაზებული ორ-ბიულეტენიანი პროპორციულ-მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მეშვეობით არჩეულ იქნა 1,733 საკრებულოს წევრი ყველგან, გარდა თბილისისა, სადაც ამომრჩევლებმა მიიღეს მხოლოდ ერთი მაჟორიტარული ბიულეტენი.

ადგილობრივი არჩევნებისათვის საკანონმდებლო ბაზა შედგებოდა, თუმცა არ შემოიფარგლებოდა, საარჩევნო კოდექსისაგან, რომელიც მიღებულ იქნა 2001 წელს და მას შემდეგ 15-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები. ამათგან ყველაზე ბოლო ცვლილება კოდექსში შევიდა 2006 წლის ივნისსა და ივლისში. საარჩევნო კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამებოდა დემოკრატიული არჩევნების პრინციპებს, თუმცა, შესაძლებელია მისი უფრო გაუმჯობესება სხვადასხვა სფეროებში. 2006 წლის ივნისში OSCE/ODIHR და ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ ერთიანი საარჩევნო კოდექსის საკანონმდებლო განხილვაში ნათქვამია, რომ კოდექსში მოცემულია

<sup>6</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმა დაიმსახურა კრიტიკა ძირითადად იმის გამო, რომ იგი არ იძლეოდა მერების პირდაპირი არჩევის საშუალებას.

რამდენიმე პოზიტიურ მხარე და მასში აღმოფხვრილია წინა განხილვებში და ანგარიშებში მოცემული ზოგიერთი ხარვეზი, თუმცა მანიც არ არის სრულად გადაწყვეტილი ადრე დასახელებული განსაზღვრული პრობლემები<sup>7</sup>.

კოდექსი აწესებს შერეულ საარჩევნო სისტემას, სადაც თითოეულ საკრებულოში მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა თბილისისა, 10 წევრი ირჩევა პარტიული სიებიდან პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემის საფუძველზე, ხოლო წევრთა განსაზღვრული რაოდენობა ირჩევა მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან, ოთხი წლის ვადით. ახალი ნორმების მიხედვით მუნიციპალიტეტების გამგებლები და თვითმმართველი ქალაქის მერები საჯარო მოხელეებს წარმოადგენენ, რომლებიც აირჩევიან ახალი საკრებულოს მიერ წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით<sup>8</sup>. თბილისის მერისაგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი გამგებელი (მერი) არჩეულ იქნას მხოლოდ საკრებულოს წევრთაგან.

თბილისისათვის ერთიანი საარჩევნო კოდექსი აწესებს 37-წევრიან საკრებულოს: 25 წევრი აირჩევა 10 მრავალმანდატიანი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, ის პარტიული სია, რომელმაც მიიღო "სხვებზე მეტი ხმა, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა 30%-სა," იღებს ყველა ადგილს (ორს ან სამს), რომელიც გამოყოფილია ამ ოლქისათვის. დანარჩენი 12 ადგილი პროპორციულად ნაწილდება იმ პარტიებს შორის, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-სა<sup>9</sup> თბილისის ყველა 10 საარჩევნო ოლქში. საკრებულო თავის წევრთაგან ირჩევს თბილისის მერს ხმათა უბრალო უმრავლესობით, ოთხი წლის ვადით<sup>10</sup>. მერობის კანდიდატობის სხვა მსურველთაგან განსხვავებით, თბილისის მერს არ მოეთხოვებოდა გადამდგარიყო თავისი თანამდებობიდან.

2005 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ განიხილა ის ცვლილებები, რომელიც აწესებდა ახალ საარჩევნო სისტემას თბილისის საკრებულოსათვის<sup>11</sup>. მიუხედავად იმისა, რომ OSCE/ODIHR არ იყო ჩართული ამ განხილვაში, იგი იზიარებს კომისიის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს სისტემის ზოგიერთი ელემენტის შესახებ, მათ შორის რეზიდენტობის

<sup>7</sup> მოსაზრება ო. 362/2005, საერთო მოსაზრება საქართველოს ერთიანი საარჩევნო კოდექსის შესახებ 2005 წლის 23 დეკემბრის და 2006 წლის 16 ივნისის ცვლილებების მიხედვით.

<sup>8</sup> საქართველოს ორგანული კანონი თვითმმართველობის შესახებ, მუხლი 39. თბილისში ხუთი საქალაქო ადმინისტრაციული რაიონის და დაბა წყნეთის გამგებელი ინიშნება თბილისის მერის მიერ.

<sup>9</sup> მხოლოდ 12 გასანაწილებელი ადგილისათვის 4%-იანი ბარიერი საკმაოდ თეორიული ჩანს. იმისათვის, რომ მიიღოს ადგილი, პარტიის ან ბლოკის სიამ სინამდვილეში 8%-ზე მეტი ხმა უნდა მოიპოვოს.

<sup>10</sup> კანონი საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ. მუხლი 22, პუნქტი 1.

<sup>11</sup> მოსაზრება ო. 358/2005, მოსაზრება ორგანული კანონის პროექტის, "საქართველოს ორგანულ კანონში "ერთიანი საარჩევნო კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2005 წლის 20 დეკემბერი

გადაჭარბებული ვადის<sup>12</sup> და დამოუკიდებელი კანდიდატების თაობაზე. ნორმა, რომელიც ითვალისწინებს თბილისის საკრებულოს არჩევნების დროს ერთი ბიულეტენის გამოყენებას მაშინ, როცა დანარჩენ საქართველოში ამომრჩეველი ავსებს ორ ბიულეტენს, საკმაოდ პრობლემური ჩანს. 2006 წლის ივნისსა და ივლისში ერთიან საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები განიხილეს იყო OSCE/ODIHR-მა და ვენეციის კომისიამ<sup>13</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი საარჩევნო კოდექსის მე-6 მუხლი მოიცავს ზოგად ნორმებს თანასწორი საარჩევნო უფლების შესახებ, მოთხოვნა რომელიც შეეხება ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრების დადგენას ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად ჩანს მხოლოდ 4 თვითმმართველ ქალაქზე ვრცელდა (მუხლი 129<sup>1.2</sup>). ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა სხვა მუნიციპალიტეტებში ხდება ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც თემი (ერთეული) ირჩევს საკრებულოს ერთ წევრს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ამომრჩეველი ცხოვრობს ამ თემში (ერთეულში)<sup>14</sup>. შედეგად, ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები შეიძლება განსხვავდებოდეს ზომის მიხედვით - რამდენიმე ასეული ამომრჩევლიდან რამდენიმე ათასამდე. ამის მსგავსად, თბილისშიც საარჩევნო უბნების შექმნის მარეგულირებელი ნორმებიც უკეთ უნდა უზრუნველყოფდეს ხმის მიცემის თანასწორობის პრინციპის დაცვას<sup>15</sup>.

ადგილობრივი არჩევნებისათვის შექმნილი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ზომის ანალიზი ადასტურებს რომ საზღვრების დადგენის პროცესი არ ასახავდა თანასწორი საარჩევნო უფლების საერთაშორისო სტანდარტებს<sup>16</sup>. უფრო მეტიც, ჩანს ოთხ თვითმმართველ ქალაქში ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი შეიქმნა ერთიანი საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ<sup>17</sup>. ოლქის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები განხილული იქნება თავში ეროვნული უმცირესობების შესახებ.

<sup>12</sup> ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის 190/202 მოსაზრების მიხედვით და საარჩევნო ნორმათა კოდექსის მიხედვით (ნაწილი I.1.1. ცც.ივ), საჭირო რეზიდენტობის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს

<sup>13</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესახებ საერთო მოსაზრება 2006 წლის 24 ივლისის ცვლილებების მიხედვით, მოსაზრება ნო.362/2005, CDL-AD(2006)037; ასევე შეგიძლიათ იხილოთ [www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr).

<sup>14</sup> მუხლი 112, პუნქტი 1.

<sup>15</sup> ერთიანი საარჩევნო კოდექსის 126<sup>6</sup>-ე მუხლი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ავალდებულებს განსაზღვროს ხუთი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი ორი და ხუთი სამ მანდატიანი ოლქი "არჩევნების წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო ოლქში მცხოვრებ ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად".

<sup>16</sup> "ნორმიდან (ე.ი. ამომრჩევლების საშუალო რაოდენობა ოლქებში) გადაცილება არ უნდა იყოს 10%-ზე მეტი და ყველა შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა (კონცენტრირებული უმცირესობების დაცვა, მეჩხერად დასახლებული ადმინისტრაციული ერთეული)" მოსაზრება 190/202, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია, საარჩევნო ნორმათა კოდექსი, ნაწილი I.2.2. ივ და ვ.

<sup>17</sup> თვითმმართველ ქალაქებში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისსა და რუსთავში არსებული 20 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან ნახევარში ადგილი ჰქონდა ნორმის 10%-ზე მეტად გადაჭარბებას. ერთ შემთხვევაში ამ გადაჭარბებამ მიაღწია 36%-ს.

## V. საარჩევნო ადმინისტრაცია

### ა. საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა და შემადგენლობა

საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება სამ-საფეხურიანი სტრუქტურისაგან, რომელიც მოიცავს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 76 საოლქო საარჩევნო კომისიასა და 3,033 საუბნო საარჩევნო კომისიას. ერთიანი საარჩევნო კოდექსი აწესებს 7-წევრიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და ხუთ-წევრიან საოლქო საარჩევნო კომისიას, როგორც მუდმივმოქმედ, პროფესიონალურ და არაპარტიულ ორგანოებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია 2005 წლის 3 ივნისს დაკომპლექტდა მას შემდეგ, რაც პარლამენტმა პრეზიდენტის წარდგენით შეარჩია მისი წევრები. ამჟამად ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგება თავმჯდომარისა და ხუთი წევრისაგან<sup>18</sup>.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობა 2006 წლის მარტ-აპრილში შეირჩა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების მიერ, 76-დან 70 საოლქო საარჩევნო კომისიაში გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე<sup>19</sup>. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობა შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული გამოცდა და მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატი ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან. ოპოზიციურმა პარტიებმა და ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოხატა უკმაყოფილება დანიშნის პროცედურასთან დაკავშირებით აღნიშნავენ რა რომ ამ პროცედურებმა პრეზიდენტს და საპარლამენტო უმრავლესობას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახით, საშუალება მისცა დომინანტური ზეგავლენა მოეხდინა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის განსაზღვრის პროცესზე. თუმცა, პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ საშუალება დაენიშნათ მათი წევრები საუბნო საარჩევნო კომისიებში და თავიანთი წარმომადგენლები ყველა დონის საარჩევნო კომისიაში.

ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ სამ პოლიტიკურ პარტიას – ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, მრეწველებს<sup>20</sup> და საქართველოს

---

<sup>18</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიის დღევანდელი შემადგენლობა ასეთი სახით ჩამოყალიბდა, როცა ყოფილი თავმჯდომარე გადაყვანილი იქნა იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე, ხოლო კომისიის ყოფილი მდივანი, გურამ ჩალაგაშვილი 2005 წლის 22 დეკემბერს დაინიშნა ცვესკოს თავმჯდომარედ.

<sup>19</sup> №5 საოლქო საარჩევნო კომისიამ (ისანი/თბილისი), №57 საოლქო საარჩევნო კომისიამ (ტყიბული/იმერეთი) და №79, №81 და №82 საოლქო საარჩევნო კომისიებმა (სამივე აჭარაში) იგივე შემადგენლობა შეინარჩუნეს, როგორც ეს 2005 წლის არჩევნების დროს ჰქონდათ, ხოლო ზემო აფხაზეთისა და კოდორის ხეობის №86 საოლქო საარჩევნო კომისია ჩამოყალიბდა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ.

<sup>20</sup> მრეწველები ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ ახალი მემარჯვენეების პარტიასთან ერთად შექმნილ საარჩევნო ბლოკში, რომელმაც გადაწყვიტა არ მიეღო მონაწილეობა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს

ლეიბორისტულ პარტიას – აქვთ უფლება დაასახელონ საუბნო საარჩევნო კომისიის 9 წევრიდან ორი-მესამედი, ხოლო დანარჩენი წევრების შერჩევა ხდება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ. პრაქტიკაში, საუბნო საარჩევნო კომისიები სწრაფად ჩამოყალიბდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ეგრეთ წოდებული სპეციალური ჯგუფების ბაზაზე, რომლებიც შეიქმნა არჩევნების დღის დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე ამომრჩეველთა სიების გადამოწმების მიზნით. ამ ჯგუფების ფორმულირების პრინციპი მოიცავდა პარტიის წარმომადგენლობის იგივე ხარისხს.

საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი თანამდებობები გადანაწილდა კომისიის პირველივე შეხვედრის დროს ხმების უბრალო უმრავლესობით. ერთიან საარჩევნო კოდექსში არ არის ჩადებული რაიმე დამცავი მექანიზმები საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის უპირატესობის თავიდან ასაცილებლად. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების მიხედვით 3,033 საუბნო-საარჩევნო კომისიიდან მხოლოდ 5 კომისიის თავმჯდომარე იყო ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი.

კომისიის წევრების პარტიული კუთვნილების შესახებ გამოკითხვისას ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვერ შესძლო დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა<sup>21</sup>. რამდენიმე შემთხვევაში თვით კომისიის წევრებიც არ იყვნენ ბოლომდე დარწმუნებულები, თუ ვინ დანიშნა ისინი.

## ბ. არჩევნების ორგანიზება

საარჩევნო ადმინისტრაციამ ძირითადად უზრუნველყო მოწესრიგებული საარჩევნო პროცესის წარმართვა დროის საკმაოდ შეზღუდულ მონაკვეთში. თუმცა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ დაიცვა კანონით დადგენილი ყველა ვადა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ზოგიერთ შემთხვევაში მისი განკარგულების საფუძველზე გააგრძელა ზოგიერთი ვადა, მას შემდეგ რაც ის უკვე ამოწურული იყო<sup>22</sup>. საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაუშვა გარკვეული გაურკვეველობა საოლქო საარჩევნო კომისიების მიმართ მიცემულ ინსტრუქციებში.

---

არჩევნებში. ერთიანი საარჩევნო კოდექსის მიხედვით მრეწველებს, ანუ ბლოკში შემავალი პარტიას, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი მანდატი, ჰქონდა უფლება მარტო დაესახელებინა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, მაგრამ ამ პარტიამ გადაწყვიტა რამდენიმე რეგიონში ეს უფლება გაეზიარებინა თავისი ყოფილი პარტნიორებსათვის.

<sup>21</sup> ბოლნისის №23 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი №7, 8, 29, 47, 45 და 46 საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები და მარნეულის №22 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი №3,7 და 48 საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები, ასევე დმანისის №24 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი №8, 9, 10 და 17 საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები.

<sup>22</sup> ეს შეეხებოდა უბნების შექმნისა და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის განსაზღვრას და ამომრჩეველთა სიების შესწორების შემოკლებულ ვადას.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ატარებდა რეგულარულ, მაგრამ მოკლე საჯარო სხდომებს და ზოგადად მოქმედებდა კოლეგიალურობის პრინციპის დაცვით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმები და გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი იყო მის ვებ-გვერდზე ქართულ ენაზე. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩაატარა ტრენინგები ყველა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა ტრენინგების სახელმძღვანელო და მედიის საშუალებით განახორციელა ამომრჩეველთა განათლების შეზღუდული კამპანია, რომელიც ძირითადად ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურაზე იყო ფოკუსირებული და რეკლამას უკეთებდა კომისიის ცხელ ხაზს.

საოლქო საარჩევნო კომისიები შეხვედრებს საჭიროებისამებრ ატარებდნენ და მცირე გამოწვევების გარდა აქვეყნებდნენ ოქმებს. საოლქო საარჩევნო კომისიებმა და საუბნო საარჩევნო კომისიებმა მიიღეს საკმაო რესურსები მათი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. ბიულეტენები და საარჩევნო მასალები ზოგადად დროულად იქნა დარიგებული.

#### **გ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო დოკუმენტები**

ცენტრალური საარჩევნო კომისია პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ცენტრალიზებული და კომპიუტერიზებული სიების წარმოებაზე. ამომრჩეველთა სიების განახლება დაიწყო არჩევნებამდე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2006 წლის 31 ივლისის განკარგულების საფუძველზე 2,804 სპეციალური ჯგუფის შექმნით. 23 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე შექმნილი ამ სპეციალური ჯგუფების დავალებას მათთვის გამოყოფილ საარჩევნო უბანზე კარდაკარ სიარული და ამომრჩეველთა სიების შემოწმება წარმოადგენდა<sup>23</sup>. 26 აგვისტოს არჩევნების დღის გამოცხადების შემდეგ სპეციალური ჯგუფების მანდატი მხოლოდ რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ შეჩერდა. 1 სექტემბერს სპეციალური ჯგუფები გადაკეთდა 3,005 საუბნო საარჩევნო კომისიად. დამატებითი საარჩევნო უბნები გაიხსნა არჩევნების დღემდე, ხოლო 5 ოქტომბრის არჩევნების დღისათვის სულ მოქმედებდა 3,033 საუბნო საარჩევნო კომისია.

საქართველოს უმეტეს ადგილებში საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიების დახმარებით გააგრძელეს სპეციალური ჯგუფების მიერ დაწყებული საქმიანობა. ეს მოიცავდა კარდაკარ სიარულს და ამომრჩეველთა მონაცემების შემოწმებას. ამომრჩეველთა წინასწარი სიები გამოიკრა საუბნო საარჩევნო კომისიებში, ხოლო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აამოქმედა ცხელი ხაზი, სადაც ხალხს შეეძლო უფასოდ დაერეკა და მიეღო ინფორმაცია, მათ შორის ამომრჩეველთა სიაში მათი მონაცემების შეტანის შესახებ.

ამომრჩეველთა განახლებული საბოლოო სიები საარჩევნო უბნებს არჩევნების წინა სადამოს გადაეცა, მას შემდეგ, რაც გავიდა სასამართლო

<sup>23</sup> ეს ხდებოდა სანამ საბოლოოდ დადგინდებოდა საარჩევნო უბნების საზღვრები ადგილობრივი არჩევნებისათვის.

გადაწყვეტილებით ამომრჩევლების სიაში შეყვანისათვის დაწესებული ვადა<sup>24</sup>. საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს არჩევნების დღეს რეგისტრაციას (გარდა არჩევნების წინა საღამოს საზღვარგარეთიდან დაბრუნებული, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან და სამკურნალო დაწესებულებებიდან გამოშვებული ადამიანებისა). სულ მთლიანად რეგისტრირებული იყო 3,205,634 მოქალაქე<sup>25</sup> რაც მნიშვნელოვნად გაზრდილი ციფრია წინა არჩევნების შემდეგ.

სპეციალური საარჩევნო სიები მომზადდა თითოეული 28 სპეციალური საარჩევნო უბნისათვის, რომელიც სამხედრო ნაწილებში შეიქმნა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით სამხედრო მოსამსახურეებს საშუალება მიეცათ ხმის მისაცემად რეგისტრაცია გაეარათ თავიანთი დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხოლო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახით კი გამოეყენებინათ სამხედრო მოწმობა. თუმცა, არ იქნა მიღებული რაიმე ზომები იმისათვის რათა სამხედრო მოსამსახურეები ამოღებული ყოფილიყვნენ ამომრჩეველთა სიებიდან მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთიან საარჩევნო სიებში რეგისტრაცია მოხდა მათი ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუმცა, პირადობის მოწმობის გარდა მათ უნდა წარმოედგინათ დევნილის სპეციალური მოწმობა საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად.

მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი ძალისხმევისა, რომელიც ხელისუფლებამ და საარჩევნო ადმინისტრაციამ გაიღო ამომრჩეველთა სიების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ოპოზიციურმა პარტიებმა და ზოგიერთმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან მაინც გამოთქვა არასაკმარის ნდობა სიების სიზუსტესთან მიმართებაში<sup>26</sup>. მათ მიუთითეს განახლების პროცესში არსებულ არასისტემურობაზე, გაორების, ბეჭდვითი შეცდომების და სხვა შეუსაბამობების არსებობაზე.

#### დ. კანდიდატების რეგისტრაცია

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია ჩატარდა როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის დონეზე. უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარეს პოლიტიკურმა პარტიებმა და მოძრაობებმა, რათა შეძლებოდათ თავიანთი კანდიდატების წარდგენა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებზე. ამის შემდეგ პოლიტიკურ პარტიებსა და

<sup>24</sup> ცესკო-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად არცერთ ამომრჩეველს არ მიუძღოთ სასამართლოსთვის სიაში შეყვანის მოთხოვნით.

<sup>25</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიწოდებული ოფიციალური ინფორმაცია. თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე წინასწარი ანგარიშების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის რაოდენობა მოცემულია, როგორც 3,229,658.

<sup>26</sup> ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ შესაძლებლობა მოეპოვებინათ ამომრჩეველთა საბოლოო სიის ელექტრონული ვერსია პირადი ნომრების გარეშე.

მოძრაობებს შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ საარჩევნო ბლოკები და მოეხდინათ მისი რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ამ პროცესის დასრულების შემდეგ პოლიტიკურმა პარტიებმა, მოძრაობებმა და საარჩევნო ბლოკებმა დაარეგისტრირეს მათი კანდიდატების სიები პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნებისათვის შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში. დამოუკიდებელ კანდიდატებს მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ თბილისის გარეთ მდებარე ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში და მათი წარდგენა უნდა მომხდარიყო შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ.

რეგისტრაციის სურვილი გამოთქვა 11-მა პოლიტიკურმა პარტიამ და მოძრაობამ, ხოლო აქედან მხოლოდ 9 იყო რეგისტრირებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. პოლიტიკურ მოძრაობა "სამშობლოსა" და მერაბ კოსტავას საზოგადოებას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამო. ეროვნულ დემოკრატიული პარტია და ახალი კონსერვატიული პარტია (ახალი მემარჯვენეები) გამოეთიშნენ პროცესს 8 სექტემბერსა და 11 სექტემბერს, რის მიზეზადაც არაჯანსაღი კონკურენცია დაასახელეს. არჩევნებში ბოლომდე მონაწილეობდა ხუთი პოლიტიკური პარტია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს გზა, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და ეროვნული იდეოლოგიის პარტია – და ერთი საარჩევნო ბლოკი "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი", რომელიც ჩამოყალიბდა რესპუბლიკური და კონსერვატიული პარტიების მიერ.

ზოგადად, კანდიდატებისა და პარტიული სიების რეგისტრაცია საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წესების დაცვით განხორციელდა. 1,025 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში სულ 2,400 კანდიდატი იყო რეგისტრირებული. გარდა ამისა, ყოველ საარჩევნო ოლქში საშუალოდ სამი პარტიული სიის არსებობა ამომრჩეველს არჩევანის შესაძლებლობას სთავაზობდა. მიუხედავად ამისა, 1,025 მაჟორიტარული არჩევნებიდან 282 (27.5%) შემთხვევა, ხოლო 69 პროპორციული არჩევნებიდან 6 (8.7%) შემთხვევა არაკონკურენტული იყო, ვინაიდან არჩევნებში მონაწილეობას დებულობდა მხოლოდ ერთი კანდიდატი ან ერთი პარტიული სია<sup>27</sup>. რამაც გარკვეული ჩრდილი მიაყენა არჩევნების კონკურენტულობას.

ამ ვითარებას თან ერთვოდა ის გარემოება, რომ საინიციატივო ჯგუფების მიერ წამოყენებულ მრავალ კანდიდატს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ<sup>28</sup>. ასეთ კანდიდატთაგან ყველაზე მეტი ქვემო ქართლში და იმერეთში იყო, სადაც ძირითადი მიზეზი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო კამპანიისათვის საჭირო ფონდის დაარსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ირგვლივ გაურკვეველი ინსტრუქციების მიცემა გახდა. ზოგიერთ მაჟორიტარულ ოლქში, საარჩევნო ბიულეტენზე მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო წარმოდგენილი, საარჩევნო ადმინისტრაციის გაურკვეველი ინსტრუქციებიდან გამომდინარე.

<sup>27</sup> ერთის გარდა ყველა შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენზე მოცემული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წამოყენებული კანდიდატი/პარტია. რეგისტრაციაზე უარი ეთქვა 270 დამოუკიდებელ კანდიდატს (31.6%), ხოლო რეგისტრაცია გაიარა 583 კანდიდატმა.

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე პროცესს რამდენიმე კანდიდატი გამოეთიშა. ხარაგაულის, მარნეულის, ბორჯომის, ასევე კახეთისა და იმერეთის რეგიონებიდან შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ მიიღო გარკვეული საჩივრები კანდიდატებისაგან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ პროცესიდან გამოთიშვამდე მმართველი პარტიის ადგილობრივი თანამდებობის პირები მათზე გარკვეულ ზეწოლას ახორციელებდნენ. შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შეძლო რამდენიმე ასეთი ბრალდების გადამოწმება<sup>29</sup>.

## ე. კამპანიის დაფინანსება

საქართველოს კანონში "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ბოლო პერიოდში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე გაიზარდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობისათვის კერძო დაფინანსების ოდენობა<sup>30</sup>, ხოლო პოლიტიკური პარტიისათვის სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების დროს მიღებული ხმების 5-დან 4 პროცენტამდე შემცირდა. გარდა ამისა, კანონი ახლა გარკვევით აყალიბებს სახელმწიფო დაფინანსების ოდენობას პოლიტიკური პარტიებისათვის<sup>31</sup>.

ერთიანი საარჩევნო კოდექსის მიხედვით კამპანიის ფონდის ჩამოყალიბება სავალდებულოა არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის. კამპანიის ყველა ხარჯი გაღებული უნდა იქნას კამპანიის ფონდის ანგარიშიდან, ხოლო ფონდის ყველა შემოწირულობის იდენტიფიცირება ადვილად შესაძლებელი უნდა იყოს. ანონიმური შემოწირულობები დაუყოვნებლივ ირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში. ფინანსური ანგარიშისა და აუდიტის ანგარიშის წარდგენის ბოლო ვადა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან 1 თვეს შეადგენდა გარდა გამარჯვებული სუბიექტებისა, რომლებსაც თავისი ფინანსური ანგარიში არჩევნებიდან 8 დღეში უნდა წარედგინათ. არ არსებობს რაიმე რეგულაცია ფინანსური ანგარიშის არჩევნების თარიღამდე წარდგენის შესახებ. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს კანდიდატის ან პარტიის რეგისტრაციიდან მოხსნის ან შემდეგ არჩევნებში მონაწილეობის უფლების აკრძალვის საფუძველი.

ფინანსური და აუდიტის ანგარიში უნდა მომზადდეს კერძო<sup>32</sup> აუდიტორული კომპანიის მიერ და უნდა განიხილოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

<sup>29</sup> ზეწოლის გამო 19 ოპოზიციურმა კანდიდატმა უარი თქვა მონაწილეობის მიღებაზე ბორჯომის №36 საარჩევნო ოლქში.

<sup>30</sup> მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა ოდენობა, კოდექსში შეტანილი ცვლილებები აწესებს ერთგვარ შეზღუდვებს ნებაყოფლობითი ფინანსური შემოწირულობებისათვის, რომელიც პარტიამ შეიძლება მიიღოს ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან.

<sup>31</sup> ყველა კვალიფიციური პარტია დებულობს 2-2 ლარს ყოველ მიღებულ 200,000 ხმაზე; 1.5 ლარს ყოველ შემდეგ 300,000 ხმაზე და 1 ლარს 500,000-ზე ზემოთ მიღებულ ყოველ ხმაზე.

<sup>32</sup> OSCE/ODIHR და ევროპის საბჭოს ვენეციის კონვენციის 362 მოსაზრების მიხედვით რეკომენდირებული იყო აუდიტის ჩატარება სახელმწიფო ორგანოს მიერ.

მიერ ჩამოყალიბებულმა მონიტორინგის ჯგუფმა, რომელიც ვებ-გვერდზე განათავსებს დეტალურ ინფორმაციას კამპანიის ფარგლებში გაწეული ყოველი ფინანსური ოპერაციის შესახებ. ამ ანგარიშის მომზადების პერიოდში ჯერ კიდევ არ ყოფილა გამოქვეყნებული ინფორმაცია სუბიექტების მიერ დახარჯული კამპანიის თანხების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები კამპანიის ფონდის გამოყენებისა და კონტროლის კუთხით საკმაოდ ადეკვატურად გამოიყურება, ერთიან საარჩევნო კოდექსში ნათლად არ არის მოცემული მოთხოვნა საარჩევნო სუბიექტებისათვის კამპანიის ფონდის გახსნის შესახებ, როგორც რეგისტრაციისათვის აუცილებელი წინაპირობა. გაურკვეველობის მიზეზია 46-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ნომა, რომელშიც ნათლად არ ჩანს კამპანიის ფონდის ჩამოყალიბება მხოლოდ პარტიის/ბლოკის კანდიდატებს ეხება თუ დამოუკიდებელ კანდიდატებსაც. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამ საკითხის ირგვლივ ორი განკარგულება გამოსცა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა ამ გაურკვეველობის სათანადო და დროული აღმოფხვრა. როგორც ზემოთ ითქვა, ეს გახდა ბევრი კანდიდატისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

## VI. ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

საქართველოში ცხოვრობს ეროვნული უმცირესობის მნიშვნელოვანი რაოდენობა. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების<sup>33</sup> მიხედვით ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16.2% წარმოადგენენ, მათ შორის ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.5%), სომხები (5.7%) და რუსები (1.5%). სხვა მოსახლეობის ჯგუფებს წარმოადგენენ ოსები, იეზიდები, ბერძნები, ჩეჩნები, ებრაელები, აფხაზები და ქურთები. ყველაზე დიდი ეროვნული უმცირესობები გეოგრაფიულად განთავსებულები არიან სამცხე-ჯავახეთში (სომხები) და ქვემო ქართლსა და კახეთში (აზერბაიჯანელები).

ეროვნულ უმცირესობებს კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ პოლიტიკური უფლებები და საქართველომ მოახდინა ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება ეთნიკური უმცირესობების დაცვის შესახებ. თუმცა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონი კრძალავს პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციას ტერიტორიული, რასისტული, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ნიშნით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშების მიხედვით მაჟორიტარ კანდიდატად რეგისტრაცია გაიარა 230 უმცირესობის წარმომადგენელმა, რომლებიც ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებმა წარადგინეს (ეს შესაძლებლობა არ იყო თბილისის საკრებულოს არჩევნებზე), რაც, ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების დროს მთლიანად რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატების დაახლოებით 10% წარმოადგენს. გარდა ამისა, პარტიულ სიებში იყო დამატებით კიდევ 215 უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატი.

<sup>33</sup> 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები არ შეიცავს მონაცემებს კონფლიქტის ზონებიდან.

ქართული ენის ცოდნა არ წარმოადგენს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის აუცილებელ წინაპირობას<sup>34</sup>. თუმცა, სახელმწიფო ენის (ქართულის) კარგი ცოდნა სავალდებულოა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის<sup>35</sup>. მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობების წარმომადგენლობა საუბნო საარჩევნო კომისიებში დამაკმაყოფილებელი იყო ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში, ქვემო ქართლში ძალიან ცოტა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი იყო აზერბაიჯანელი.

აღსანიშნავია საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი ძალისხმევა უმცირესობებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც გამოიხატებოდა ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კლიპებისა და მასალების, ასევე ცხელი ხაზის ამოქმედებაში მათთვის სასურველ ენაზე. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა სიები და სასწავლო სახელმძღვანელოები რამდენიმე უმცირესობის ენაზე დაბეჭდა, მოაწყო რამდენიმე ენაზე მოსაუბრე ტრენერების ტრენინგი<sup>36</sup> და დაბეჭდა ორენოვანი ბიულეტენები ორი უმცირესობის ენაზე<sup>37</sup>. ეს ბოლო ძალისხმევა მხოლოდ ოთხ საარჩევნო ოლქში განხორციელდა<sup>38</sup>. თუმცა, ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა ერთიანი საარჩევნო კოდექსი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული აქტები, ასევე მნიშვნელოვანი ფორმები, როგორცაა საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების შემაჯამებელი ოქმები, არ გადათარგმნილა უმცირესობების ენაზე. ზოგჯერ ეს იწვევდა ადგილობრივი საარჩევნო ადმინისტრაციის დაბნევას და ასევე შეიძლება ზეგავლენა ჰქონოდა საარჩევნო სუბიექტებისა და ელექტორატის უფლებებზე უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში<sup>39</sup>.

ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა ზოგადად მიყვებოდა ძველ სათემო სტრუქტურას მუნიციპალიტეტის შიგნით,

<sup>34</sup> პასიურ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები მოცემულია ერთიანი საარჩევნო კოდექსის 109-ე მუხლის 1 პუნქტში.

<sup>35</sup> საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც თავისუფლად ფლობს სახელმწიფო ენას". ერთიანი საარჩევნო კოდექსი, მუხლი 33, პუნქტი 5.

<sup>36</sup> ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქართულად ჩაატარა ტრენინგი რამდენიმე ენაზე მოსაუბრე ტრენერებისათვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ადგილებისათვის. ქვემო ქართლში შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შენიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების ტრენინგი ყოველთვის მათთვის მისაღებ ენაზე არ ტარდებოდა და ზოგიერთმა ტრენერმა კარგად არ იცოდა საარჩევნო ტერმინოლოგია უმცირესობათა ენებზე. მისიამ ტრენინგის სახელმძღვანელოს აზერბაიჯანულ თარგმანს სუსტი შეფასება მისცა, რაც ასევე გამოწვეული იყო ტერმინოლოგიის შეუსაბამობით.

<sup>37</sup> ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ შეასრულა მისი ვალდებულება (ერთიანი საარჩევნო კოდექსის მუხლი 129<sup>3</sup>, პუნქტი 19) საარჩევნო ბიულეტენების რუსულად დაბეჭდვის შესახებ.

<sup>38</sup> ეს ოთხი ოლქია ახალქალაქი, ნინოწმინდა, მარნეული და გარდაბანი.

<sup>39</sup> მისიამ აღნიშნა, რომ ქვემო ქართლში დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი კანდიდატი იყო მოხსნილი რეგისტრაციიდან.

სადაც ადგილობრივი თემი ირჩევდა საკრებულოს მხოლოდ ერთ წევრს მიუხედავად ამ თემის ზომისა. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთ ოლქში ერთი მანდატისათვის საჭირო ხმების რაოდენობა ზოგადად უფრო დაბალი იყო ქართულ თემებში ვიდრე უმცირესობით დასახლებულ თემებში<sup>40</sup>.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით არჩეულ იქნა 158 უმცირესობის კანდიდატი და ამგვარად უმცირესობების წარმომადგენლები ახლადარჩეულ საკრებულოებში მთლიანი წევრების დაახლოებით 9% დაიკავებენ.

## VII. გენდერული წარმომადგენლობა

ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატთა 10% და პარტიული სიების კანდიდატების 18%-ს ქალები წარმოადგენდნენ. ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში და მრეწველების პარტიაში ყველაზე ნაკლები იყო ქალების წარმომადგენლობა – 8.3% და 7.9% მდებარეობითი სქესის მაჟორიტარი კანდიდატი. რაც შეეხება პარტია "საქართველოს გზას", მათი მაჟორიტარულ ოლქში წარდგენილი კანდიდატების 20% და პარტიული სიებით წარდგენილი კანდიდატების 37% მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ. თუმცა, ამ პარტიიდან საბოლოოდ მხოლოდ ერთი კანდიდატი იქნა არჩეული.

ახალ საკრებულოებში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი დაბალია. ქალებმა სულ 197 ადგილი (11.4%) დაიკავეს. ოთხი ქალი არჩეულ იქნა თბილისში (10.8%) და 193 (11.4%) ქვეყანის დანარჩენ ადგილებში. ქალების უმეტესობა არჩეულ იქნა პარტიული სიების მეშვეობით.

## VIII. საარჩევნო კამპანია

საარჩევნო სუბიექტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ელექტორატისათვის თავიანთი მოსაზრებები წარმოედგინათ საარჩევნო კამპანიის პროცესში გართულებების გარეშე, რომელიც ძირითადად ხასიათდებოდა ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვით. თუმცა, საარჩევნო კამპანია არჩევნების ბოლო კვირამდე არ იყო აქტიური და ძირითადად მთავარი ქალაქებით შემოიფარგლებოდა.

კამპანია ძირითადად მოიცავდა ამომრჩეველთა აგიტაციას, მცირემასშტაბიან შეხვედრებს და კამპანიის პოსტერების გამოყენებას. პარტიების უმეტესობამ კამპანიის დაბალი აქტიურობა არჩევნების ადრე დანიშნით ახსნა.

40 მისიის ანალიზის საფუძველზე ეს შემთხვევები გამოვლინდა გარდაბანის, დმანისის, წალკის (ქვემო ქართლში) და ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის (სამცხე-ჯავახეთი) საარჩევნო ოლქებში. ახალქალაქში მანდატის მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა ქართველების მიერ დომინირებულ ოთხ თემში 247 ხმა იყო, ხოლო სომხური თემებისათვის ეს ციფრი 1,700 შეადგენდა.

ზოგიერთმა მიზეზად რესურსების ნაკლებობა დაასახელა. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა, როგორც ჩანს არ ჰქონიათ ჩამოყალიბებული ფართომასშტაბიანი კამპანიის პლატფორმა.

თბილისში მერის კამპანია საკმაოდ თვალშისაცემი იყო როგორც ქალაქის სხვადასხვა ადგილებში მოთავსებულ ბილბორდებზე და ავტობუსებზე გამოკრული პოსტერებით, ასევე აქტივისტების მიერ მოსახლეობისადმი გაწეულ აგიტაციით და კარდაკარ დარიგებული საარჩევნო მასალებით. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და მისი კანდიდატების კამპანიები სხვა ძირითად ქალაქებში უფრო აქტიური გახდა არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

კამპანიის მიმდინარეობის დროს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაატარა თვალშისაცემი სოციალური პროგრამები, რომლებიც მოიცავდა პოლისების დარიგებას, საპენსიო დანამატების გადახდას, მოკლევადიანი დასაქმების პროგრამების განხორციელებას და სასკოლო ჩანთების დარიგებას. ეს პროგრამები მიმდინარეობდა საარჩევნო კამპანიების პარალელურად და ძალიან კარგად იყო გაშუქებული მედიის მიერ, რაც ნაკლებს შესამჩნევს ხდიდა ზღვარს სახელმწიფოს საქმიანობასა და საარჩევნო კამპანიას შორის. ეს კი ეწინააღმდეგება 1990 წლის ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტს. უფრო მეტიც, ელექტრონულ და ნაბეჭდ მასალებზე ერთნაირი სლოგანების, დიზაინისა და გამოსახულებების გამოყენება უფრო ართულებდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული საზოგადოებასთან ურთიერთობის მასალებსა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხარჯებით მომზადებული კამპანიის მასალებს შორის განსხვავების დადგენას. წინა არჩევნების დროს OSCE/ODIHR-მა გააკეთა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც "კამპანიის საქმიანობა გარკვევით უნდა გაიმიჯნოს ოფიციალური და სახელმწიფო საქმიანობებისაგან"<sup>41</sup>. ეს რეკომენდაცია ჯერ კიდევ ძალაში რჩება.

სახელმწიფოსა და პარტიის საქმიანობას შორის ზღვარის დადგენა ასევე რთული იყო ისეთ ინიციატივებში, როგორცაა უფასო სასადილოები, რომელთა უმეტესობაც არჩევნებამდე კარგახნით ადრე იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ აგრძელებდნენ მუშაობას საარჩევნო კამპანიის დროსაც. ეს საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა ერთიანი საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 პუნქტის ა) ნაწილს, რომელიც კრძალავს საარჩევნო კამპანიის პროცესში მოსახლეობის დაინტერესებას რაიმე საშუალებებით. ამ ვითარებას თან ერთვოდა ის ფაქტი, რომ უფასო სასადილოებში, სადაც შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ განახორციელა ვიზიტი, მიმდინარეობდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კამპანიის აგიტაცია.

ზოგიერთი საარჩევნო კომისიის წევრი ერთგვარად ჩართული იყო კამპანიის საქმიანობაში მმართველი პარტიის სახელით, რაც ასევე მოიცავდა ამომრჩეველთა წინაშე პარტიის კანდიდატების სასარგებლოდ აგიტაციის

<sup>41</sup> OSCE/ODIHR-ის საბოლოო ანგარიში 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ და 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შესახებ.

გაწევას პარტიის კითხვარების გამოყენებითაც<sup>42</sup>. OSCE/ODIHR–სათვის ცნობილია შემთხვევა, როცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დათხოვნილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ეწეოდა არალეგალურ კამპანიას. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ძალისხმევა მიმართული იყო ამომრჩეველთა სიების სისწორის დადგენისაკენ, რასაც ხშირად თან ახლდა კამპანიის მასალების დარიგება და გამოკითხვის ჩატარება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის ერთგვარი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. OSCE/ODIHR–ის დამკვირვებლების შეფასებით აღნიშნულ ფაქტებს აქვთ ამომრჩეველზე აკრძალული ზეგავლენის მოხდენის პოტენციალი.

შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ასევე მიიღო საჩივრები ადგილობრივი თანამდებობების პირთა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტთა მიერ ამომრჩევლებზე და კანდიდატებზე ზეწოლის შესახებ, განსაკუთრებით იმერეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში, რათა ხმა მიეცათ მმართველი პარტიისათვის. თბილისში შეზღუდულმა საარჩევნო სამეთვალყურეო მისიამ პირველადი წყროდან მიიღო ინფორმაცია საგადასახადო დეპარტამენტის მიერ საწარმოებზე ზეწოლის შესახებ, რომლებიც აიძულებდნენ საწარმოებს სამუშაოდ მიეღოთ მოკლევადიანი დასაქმების პროგრამის ბენეფიციარები და წინასწარ გადაეხადათ თავიანთი გადასახადები არჩევნებთან დაკავშირებული საქმიანობის დასაფინანსებლად.

ადგილობრივი ბიზნესმენებზე საგადასახადო თუ ფინანსური ორგანოების მიერ ზეწოლის შესახებ საჩივრები იქნა მიღებული ხარაგაულში (საოლქო საარჩევნო კომისია 48), ქუთაისში (საოლქო საარჩევნო კომისია 59), სამტრედიისში (საოლქო საარჩევნო კომისია 54), ოზურგეთში (საოლქო საარჩევნო კომისია 60) და ჩოხატაურში (საოლქო საარჩევნო კომისია 62). ამ და სხვა რაიონებში ასევე მიღებული იქნა რამდენიმე სანდო ბრალდება საჯარო მოხელეების მიმართ ოპოზიციის მხარდაჭერისათვის სამუშაოს დაკარგვით მუქარის შესახებ.

## IX. მედია და არჩევნები

### ა. მედია გარემო

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების<sup>43</sup> მიხედვით საქართველოს გააჩნია მრავალფეროვანი მედია ბაზარი და მისი მედიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაუჯობესდა მედიის თავისუფლებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურული ცვლილებებისათვის მიღებული ზომების შედეგად. თუმცა, ჯერ კიდევ რჩება გარკვეული პრობლემები. შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან მოსაუბრებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს ჟურნალისტების

<sup>42</sup> საარჩევნო კომისიების მიერ უკანონო კამპანიის განხორციელება შეინიშნებოდა ზუგდიდისა და ნინოწმინდას ოლქებში და ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რამდენიმე რეგიონში.

<sup>43</sup> იდ X მედიის განვითარების მაჩვენებელი 2005, თავისუფლების სახლის ანგარიშები რესის თავისუფლების შესახებ, 2005, 2006.

არასაკმარისი ტრენინგი და მასმედიის დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულება.

საქართველოს კომინიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 2002 წელს დაარსდა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონის საფუძველზე, რათა ზედამხედველობა გაუწიოს მედიის სექტორს და გასცეს ლიცენზიები. იგი შედგება პარლამენტის მიერ პრეზიდენტის წარდგინებით დანიშნული ოთხი ადამიანისაგან და მოიცავს 60 მაუწყებლობას, როგორც ტელევიზიებს, ასევე რადიო არხებს. ბეჭდვითი მედიისათვის, რომელიც 200 გამომცემლობას მოიცავს, არ არსებობს რაიმე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო.

ტელევიზია ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა<sup>44</sup> და ყველაზე პოპულარული კერძო არხები იმედი და რუსთავი 2 საქართველოს თითქმის მთელს ტერიტორიას მოიცავს. ბეჭდვითი მედიის ბაზარზე ძირითადად კერძო გაზეთები დომინირებენ, რომელთა უმეტესობასაც შეზღუდული გავრცელების არიალი აქვს დაბალი ტირაჟის გამო. საქართველოს რეგიონალური მედია, რომელიც დიდი ქალაქების ფარგლებს გარეთ მდებარეობს ძირითადად ადგილობრივ მთავრობაზე ან ბიზნესზე არიან ეკონომიურად დამოკიდებულნი.

## ბ. მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა

საქართველოში მედიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა მოიცავს კონსტიტუციას, რომელიც სიტყვის თავისუფლების გარანტიებს იძლევა და კრძალავს ცენზურას სხვა ზოგიერთ სხვა კანონებს<sup>45</sup>. თუმცა, არჩევნების დროს ძირითად საკანონმდებლო ბაზად მაინც ერთიანი საარჩევნო კოდექსი გვევლინება.

ერთიანი საარჩევნო კოდექსის 73<sup>1</sup> მუხლის 2-3 პუნქტების მიხედვით საარჩევნო კამპანიის დროს როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივ მედიას ევალებათ გამოყონ დადგენილი მინიმალური უფასო საეთერო დრო საარჩევნო რეკლამებისათვის<sup>46</sup>. თუმცა, 2006 წლის 23 ივნისის ცვლილებების მიხედვით ერთიანი საარჩევნო კოდექსი ადგენს "კვალიფიცირებულ საარჩევნო სუბიექტებს"<sup>47</sup> ცნებას, 73<sup>1</sup> მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულია, რომ "ამ კანონით

<sup>44</sup> საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა ადრე ცნობილი იყო I არხის სახელით.

<sup>45</sup> სხვებთან ერთად ეს ასევე მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, კანონს მაუწყებლობის შესახებ (2004), კანონს სიტყვის და აზრის თავისუფლების შესახებ (2004) და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ (1999).

<sup>46</sup> 2006 წლის ივნისის OSCE/ODIHR-ის ვენეციის კომისიის საერთო მოსაზრება საქართველოს ერთიანი საარჩევნო კოდექსის შესახებ ამბობს, რომ კოდექსში გამოყენებული ტერმინები, რომელიც აღწერს მედიის სხვადასხვა კატეგორიას, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები საჭიროებენ უფრო დაზუსტებას.

<sup>47</sup> ქვეყნის მასშტაბით კვალიფიცირებული საარჩევნო სუბიექტი არის პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია ფრაქციით ან რომელმაც უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. ადგილობრივ დონეზე კვალიფიცირებული საარჩევნო სუბიექტი არის პარტია, რომელმაც ადგილობრივი

გათვალისწინებული ვალდებულებები საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ ვრცელდება მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით."

ერთიანი საარჩევნო კოდექსის 73<sup>1</sup> მუხლის მე-10 პუნქტი ასევე ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს, გარკვეული საეთერო დრო დაუთმოს "კვალიფიცირებული სუბიექტების" გარდა არჩევნების სხვა მონაწილეებსაც. კანონის ფარგლებში საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ გადაწყვიტა 28 წუთი დაეთმო ყოველი "კვალიფიცირებული" და ხუთი წუთი ყველა სხვა რეგისტრირებული სუბიექტისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დროის ეს მონაკვეთი აკმაყოფილებს საკანონმდებლო მოთხოვნებს, შესაძლებელი იყო უფრო სამართლიანი ფორმულის მოძებნაც. თუმცა, პარტია "საქართველოს გზის" საჩივრის შემდეგ საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ მოიწვია ეს ოპოზიციური პარტია ბოლო ორ სატელევიზიო დებატებში მონაწილეობის მისაღებად მიუხედავად იმისა, რომ ეს პარტია ფორმალურად არ იყო კვალიფიცირებული მონაწილეობისათვის.

ის არხები, რომლებზეც მიმდინარეობდა დაკვირვება, ზოგადად აკმაყოფილებდნენ უფასო საეთერო დროსთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. რუსთავი 2 და აჭარის ტელევიზია ხანდახან ვერ ახერხებდნენ შეესრულებინათ თავისი ვალდებულება და გაეწვლინათ ნათელი ზღვარი უფასო და ფასიან რეკლამებს შორის, ხოლო საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ ბოლომდე ვერ შეასრულა მისი ვალდებულება ყოველ საათში გაეშვა რეკლამები. საერთო ეროვნული დაფარვის მქონე არხებმა და რამდენიმე ადგილობრივმა სატელევიზიო არხმა მოაწყო დებატები, რაც აზრთა გაცვლისა და ელექტორატის ინფორმირებისათვის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა არ მიეღო მონაწილეობა ამ დებატებში.

## გ. მედია მონიტორინგი

13 სექტემბერს შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ დაწყო 5 სატელევიზიო არხის, მათ შორის ერთი აჭარაში მოქმედი ტელევიზიის, ასევე 9 ყოველდღიური და ყოველკვირეული გაზეთის მონიტორინგი<sup>48</sup>. მთლიანობაში, მედია აშუქებდა მთავარ საარჩევნო მოვლენებს, მაგრამ კამპანიის საქმიანობის გაშუქება როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მედიის მიერ საკმაოდ შეზღუდული იყო, ვინაიდან კამპანია ნაკლებად აქტიური იყო დაკვირვების პროცესის უმეტეს პერიოდში.

თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 25%, ან პარტია, რომლის კანდიდატმა (კანდიდატებმა) მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მეორე ტურში გავიდა ან მიიღო ხმების არანაკლებ 25%-ისა.

<sup>48</sup> შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ჩაატარა შემდეგი ტელევიზიებისა და გაზეთების მონიტორინგი: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა, იმედი, რუსთავი 2, 202, აჭარის ტელევიზია (ტელევიზიები), ახალი თაობა, ახალი ვერსია, აღია, რეზონანსი, საქართველოს რესპუბლიკა, 24 საათი (ყოველდღიური გაზეთები), ასავალ-დასავალი, ჯორჯიან ტაიმსი, კვირის პალიტრა (ყოველკვირეულის გაზეთები).

არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია ძირითადად გადაიცემოდა უფასო რეკლამების, სატელევიზიო დებატებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებული საგანმანათლებლო რეკლამების მეშვეობით. არჩევნებთან დაკავშირებული ახალი ამბების რაოდენობა შესამჩნევლად გაიზარდა არჩევნებამდე 2 კვირით ადრე, როცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და სხვა პარტიები უფრო აქტიურები გახდნენ თავიანთი კამპანიებით. ამავდროულად, საარჩევნო კამპანია ერთგვარად დაიწყო რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობების გაშუქებით, რაც უფრო გამწვავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რუსეთის დაზვერვის სამსახურის თანამშრომელთა დაჭერის შემდეგ.

თუმცა, მედია ძირითადად ფოკუსირებული იყო ხელისუფლების საქმიანობაზე, განსაკუთრებით კი თბილისის მერისა და პრეზიდენტის საქმიანობაზე, რომელიც ამავდროულად ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას ხელმძღვანელობს. მათი გამოჩენა მედიის მიერ გაშუქებულ დღესასწაულებზე და ცერემონიებზე არაპირდაპირ უწყობდა ხელს მმართველი პარტიის კამპანიას.

მედიაში ასევე გავიდა არაერთი სიუჟეტი მთავრობის ზოგადი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ (როგორცაა "თბილისის ახალი ამბები"). კამპანიის დროს ასევე გამოჩნდა სარეკლამო რგოლები, რომელშიც ნაჩვენებია იყო მთავრობის მიერ სხვადასხვა ბიზნესის მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ ამ რგოლებში გამოყენებული სლოგანი, "ნუ შეაჩერებ აღმშენებლობას", ასევე გამოიყენებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და თბილისის მერის ფასიან რეკლამებში საარჩევნო კამპანიის ბოლო ორი კვირის განმავლობაში.

ახალი ამბების პროგრამებში *საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ* პრეზიდენტისა და მთავრობის საქმიანობის გაშუქებას პროცენტულად ყველაზე მეტი დრო დაუთმო – 34% და 30%. რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტებს, ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმო ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის კანდიდატებს (10%), რომელსაც მოსდევდა ბლოკი "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი" (5%). ამ ორი სუბიექტის კამპანიის გაშუქების ტონი ძირითადად პოზიტიური და ნეიტრალური იყო.

რაც შეეხება კერძო არხებს, *რუსთავი 2*-მა პოლიტიკური საეთერო დროის 33% დაუთმო პრეზიდენტსა და 29% მთავრობას. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ბლოკმა "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი" მიიღო მთლიანი გაშუქების ოდენობის 9% და 7%. ამისგან განსხვავებით, კერძო არხი 202 პოლიტიკურ საკითხებს უფრო დაბალანსებულად წარმოადგენდა, სადაც დროის უმეტესობა ეძღვნებოდა მთავრობის საქმიანობას<sup>49</sup>. ეს არხი უფრო მეტ დროს უთმობდა ოპოზიციურ პარტიებს, სადაც 12% ეძღვნებოდა ბლოკს "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი" და ლეიბორისტულ პარტიას, ხოლო ტონი ძალიან ნეიტრალური და პოზიტიური იყო. კერძო ტელევიზია *იმედის ეთერში* გადიოდა ანალიტიკური პროგრამა "რეაქცია", რომელიც მაყურებელს სთავაზობდა მთავრობის საქმიანობის მკაცრ კრიტიკას.

<sup>49</sup> 2002 წლის 9 ოქტომბერს ტელევიზია 202-მა დროებით შეწყვიტა მაუწყებლობა ეკონომიკური მიზეზების გამო.

სამაუწყებლო მედიის მსგავსად ბეჭდვითმა მედიამ მხოლოდ მოკრძალებულად გააშუქა საარჩევნო პროცესი. მონიტორინგის დროს განხილული გაზეთების უმრავლესობა გეთავაზობდა სხვადასხვა მოსაზრებას, მაგრამ ამავდროულად უპირატესობას ანიჭებდა მათ მიერ ამორჩეულ პოლიტიკურ ძალას და კრიტიკული შენიშვნებით გამოდიოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ<sup>50</sup>. ყოველდღიური გაზეთი 24 საათი მის მკითხველს საარჩევნო კამპანიის უფრო დაბალანსებულ გაშუქებას თავაზობდა.

## X. დაგები, საჩივრები და სარჩელები არჩევნების დღემდე

საქართველოს საარჩევნო კანონი შეიცავს საარჩევნო დაგების განხილვასთან დაკავშირებულ მთელ რიგ დეტალურ დებულებებს, რომლების არეგულირებენ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში საჩივრების განხილვის წესს. თუმცა, კოდექსი სათანადოდ არ გამორიცხავს სხვადასხვა ორგანოს მიერ ერთი და იგივე საჩივრის ერთდროულად განხილვის შესაძლებლობას, რაც ქმნის “შესაბამისი ორგანოს არჩევის უფლებით მანიპულირების” და საჩივრებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის შეუსაბამობების წარმოშობის საფრთხეს. ბოლო დროს საგრძნობლად გაზრდილმა სასამართლო მოსაკრებელმა (ბაჟი) შეიძლება არჩევნებში მონაწილეებს გადააფიქრებინოს სასამართლოში სარჩელის შეტანა. ფრო მეტიც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ერთ-ერთი ინსტანციაა, არჩევნების წინა პერიოდში არ მოქმედებდა რადგან რამდენიმე ახლადდანიშნულ მოსამართლეს ჯერ კიდევ ფიცი არ ჰქონდა დადებული.

OSCE/ODIHR-სათვის ცნობილი გახდა 40-მდე საჩივრის შესახებ არჩევნების დღემდე. ამ საჩივრების უმეტესობა დაკავშირებული იყო საარჩევნო კომისიის განკარგულებებთან დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რადგანაც მათ ვერ შესძლეს კანონით დადგენილ ვადაში საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა. არცერთი საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული. შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შენიშნა რომ საუბრისას ზოგიერთმა თანამოსაუბრემ გამოთქვა შეშფოთება საზოგადოების უნდობლობის გამო სასამართლო სისტემისადმი და საარჩევნო კომისიებისადმი და ასევე მათი მიუკერძოებლობისადმი არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის დროს.

ორი სარჩელი შეეხებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებას, რომლთაც მოხდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიის დარეგისტრირება თბილისის მოქმედი მერის მეთაურობით. ეს სია მოიცავდა თბილისის საკრებულოს წევრობის ისეთ კანდიდატებს,

<sup>50</sup> რეზონანსი უპირატესობას ბლოკ "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილს" ანიჭებდა, ასევე დასავალი – ლეიბორისტულ პარტიას, ხოლო კვირის პალიტრა - მრეწველებს.

რომლებიც არც ერთ მაჟორიტარულ ბიულეტენში არ ფიგურირებდნენ. ამ ორ სარჩელში ნათქვამი იყო, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება ეწინააღმდეგებოდა ერთიანი საარჩევნო კოდექსის 126<sup>8</sup> მუხლის მე-3 პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ "პარტიულ სიაში შეყვანილ უნდა იქნენ ის კანდიდატები, რომლებიც წარდგენილი არიან მაჟორიტარულ არჩევნებში". თავიდან ეს სარჩელები არ იყო მიღებული იმ მოტივით, რომ ორ მოსარჩელეს, საარჩევნო ბლოკს „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი“ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, მსგავსი საჩივრების სასამართლოში შეტანის უფლება არ ჰქონდა. სააპელაციო სასამართლოში განმეორებითი აპელაციის შემდეგ სასამართლომ მიიღო სარჩელები, მაგრამ მოგვიანებით მაინც გააუქმა ისინი.

## XI. სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი დამკვირვებლები

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებზე დამკვირვებელი სულ 8 არასამთავრობო ორგანიზაცია იქნა რეგისტრირებული, მათ შორის ადგილობრივი არაპარტიული სადამკვირვებლო ორგანიზაციები – "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საქართველოს საზოგადოება", "ახალი თაობა – ახალი ინიციატივა" და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია".

ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" წინასაარჩევნო პროცესს თვალყურს ადევნებდა 75 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით, ხოლო არჩევნების დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩააბა 3,563 მოკლევადიანი დამკვირვებელი. ორგანიზაციას "ახალი თაობა – ახალი ინიციატივა" 2,500 მოკლევადიანი დამკვირვებელი ჰყავდა. ორივე ორგანიზაციამ ჩაატარა ხმების პარალელური დათვლა თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ რამდენიმე პროგრამა განახორციელა, რომელიც ძირითადად არჩევნების იურიდიულ მხარეზე და მედია მონიტორინგზე იყო ორიენტირებული. საქართველოს გამჭვირვალობა საქართველო კი არჩევნებისას ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების ფაქტების დადგენაზე იყო ფოკუსირებული.

## XII. არჩევნების დღე

### ა. ზოგადი შეფასება და შეზღუდვები

როგორც ეს შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის გამოყენების პრაქტიკაშია მიღებული, OSCE/ODIHR-მა არ გამოიყენა მოკლევადიანი დამკვირვებლები და არ ჩაუტარებია სისტემატური ან ფართომასშტაბიანი დაკვირვება არჩევნების დღის პროცედურებზე. მიუხედავად ამისა, მისიის წევრებმა 76 საარჩევნო ოლქიდან 35 ოლქში შემავალი 122 საარჩევნო უბანი მოინახულეს. მისიის წარმომადგენლები დაესწრნენ ხმების დათვლის პროცედურას 11 უბანზე და შეაფასეს შედეგების შეჯამების პროცესი შეზღუდული რაოდენობის საოლქო საარჩევნო კომისიებში. იქ, სადაც მისიის

წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, მათი შეფასებით კენჭისყრის პროცედურები ზოგადად მოწესრიგებულად ჩატარდა. თუმცა, მაინც შეინიშნებოდა გარკვეული დარღვევები, განსაკუთრებით კი ხმების დათვლისა და შეჯამების დროს.

არჩევნების დღეს ყველა იმ უბანზე, რომელსაც ეწვია შეზღუდული საარჩევნო მისიის წარმომადგენლობა, მუდმივად იმყოფებოდნენ როგორც პარტიების, ასევე არაპარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელი დამკვირვებლები. საარჩევნო პროცესის ზოგადი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გარდა, როგორც ჩანს, ზოგიერთ ადგილობრივ დამკვირვებელს კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული დამკვირვებლის როლი<sup>51</sup>. იყო შემთხვევები, როცა დამკვირვებლები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საარჩევნო უბნის გარეთ და ითვლიდნენ შემომსვლელ ამომრჩევლებს. ეს აღქმული იქნა, როგორც ამომრჩეველთა ერთგვარი დაშინება და შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებაში ჩარევა.

## ბ. კენჭისყრა

საარჩევნო უბნებში, რომელსაც ეწვია მისია, საარჩევნო კომისიები საკმაოდ კარგად ორგანიზებულნი და მომზადებულნი ჩანდნენ და კენჭისყრის პროცედურები ძირითადად დაცული იყო. დიდი ჰქონდა ჯგუფურ და ოჯახურ ხმის მიცემის შემთხვევებს<sup>52</sup> და არასწორ მარკირებას<sup>53</sup>, ძირითადად სოფლებში. რამდენიმე საარჩევნო უბანზე ზოგიერთ ამომრჩეველს ნება დართეს ხმა მიეცა საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე<sup>54</sup>. თუმცა, მისიის წარმომადგენლებმა შენიშნეს, რომ კომისიის წევრები ხშირად ასწორებდნენ არასწორ საქციელს, რომელიც ასევე მოიცავდა სხვა ადამიანის მაგივრად ხმის მიცემის მცდელობას (მინდობილობით ხმის მიცემა).

სპეციალური ვიდეო კამერები, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციამ შემოიღო როგორც კიდევ ერთი გარანტია შესაძლო დარღვევების თავიდან ასაცილებლად, პირველად გამოყენებულ იქნა თბილისში არსებულ საარჩევნო უბნებზე ადგილობრივი არჩევნების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნა, რომ ეს კამერები მხოლოდ

<sup>51</sup> OSCE/ODIHR და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიხედვით მოხდა საარჩევნო კოდექსის შეცვლა, რათა გამორიცხულიყო დამკვირვებლებისათვის 2005 წლის აპრილში მინიჭებული უფლება დახმარებოდნენ კომისიებს არჩევნების დღეს პროცედურების ჩატარებაში. ზოგიერთმა დამკვირვებელმა არ იცოდა ამ ცვლილების შესახებ.

<sup>52</sup> გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის 1 და 3 საარჩევნო უბნები, ბოლნისის 23-ე საარჩევნო ოლქის მე-3 საარჩევნო უბანი, ბაღდათის 52-ე საარჩევნო ოლქის 3 და 15 საარჩევნო უბნები.

<sup>53</sup> სიღნაღის მე-13 საარჩევნო ოლქის მე-13 საარჩევნო უბანი, გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის 1,2 და 5 საარჩევნო უბანი, ახალქალაქის მე-40 საარჩევნო ოლქის 35 და 60 უბნები, ნინოწმინდის 41-ე ოლქის 12, 13 და 17 საარჩევნო უბნები, ექვსივე საარჩევნო უბანი აბაშის 63-ე საარჩევნო ოლქში.

<sup>54</sup> გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის 1 და 3 საარჩევნო უბნები, ზუგდიდში იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას ხმის მიცემის უფლება ჰქონდა ორი სავალდებულო დოკუმენტიდან ერთის წარმოდგენით.

სარეგისტრაციო მაგიდებისა და საარჩევნო ყუთებისაკენ იყო მიმართული, არ არსებობდა იურიდიული ნორმები და საზოგადოებას არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ როგორ ხდებოდა ამ კამერების გამოიყენების რეგულირება და ასევე როგორ მოხდებოდა ჩანაწერების გამოიყენება არჩევნების დღის შემდეგ, რასაც, შესაძლოა გამოეწვია ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა ან ამომრჩეველთა დაშინების შემთხვევები.

თითქმის ყველა საარჩევნო უბანში, რომელიც მონახულა დამკვირვებელთა მისიამ, იყო შემთხვევები, როცა ამომრჩევლები გაბრუნდნენ უკან, ვინაიდან მათი სახელი არ იყო ამომრჩეველთა სიაში, ან იყო რაღაც შეუსაბამობები მათ პირად მონაცემებში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებიდან შეგროვებული ინდიკატიური ინფორმაციის მიხედვით საარჩევნო სიაში არყოფნის გამო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარი ეთქვა დაახლოებით 20,759<sup>55</sup> ამომრჩეველს. იმის გამო, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნების დღეს დეტალურად არ იწერდა უკან გაბრუნებული ამომრჩევლების მონაცემებს, ასევე ამომრჩეველთა აქტივობის შედარებით დაბალი დონის გამო, უცნობია ამომრჩეველთა სიებში არსებული უზუსტობების გამო რამდენ ამომრჩეველს არ მიეცა შესაძლებლობა არჩევნებში მონაწილეობისა. რამდენიმე ასეთი შემთხვევა შეიძლება აიხსნას უკანასკნელ პერიოდში უბნების საზღვრების ხელახალი დადგენის ფაქტით.

## გ. ხმების დათვლა

შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები, რომლებიც ხმების დათვლას ესწრებოდნენ უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ახალქალაქში, ბოლნისისა და გორში, შენიშნეს მნიშვნელოვანი პროცედურული პრობლემები. საარჩევნო კომისიები ამ ადგილებში ნაკლებად იყვნენ გათვითცნობიერებული ხმების დათვლის პროცედურებთან და შემაჯამებელი ოქმების შედგენის წესებთან დაკავშირებით. იმ ფაქტს, რომ ეს ოქმები არ იყო მოცემული უმცირესობების ენაზე, შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა საარჩევნო კომისიებისათვის უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში<sup>56</sup>. სხვა ადგილებში, სადაც პროცედურები ზოგადად დაცული იყო, მაინც შეინიშნებოდა გარკვეული დარღვევები, როგორცაა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ხელმოწერების დამატება საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგ, ადგილობრივი დამკვირვებლების ჩარევა კომისიების მუშაობაში და არაკომპეტენტური ადამიანების ჩარევა ხმის დათვლის პროცედურაში.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმში მოცემული იყო კატეგორია "ყველას წინააღმდეგ" და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით ამომრჩეველთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ მთელი ქვეყნის მასშტაბით მონიშნა "ყველას წინააღმდეგ" გრაფა. შემაჯამებელ ოქმებში ამ

<sup>55</sup> ამომრჩეველთა სიების აუდიტის შედეგების შედეგად, რომელიც ISFED-მა ჩაატარა, 260,000-მდე ამომრჩეველი არ ყოფილა შეტანილი ამომრჩეველთა სიაში.

<sup>56</sup> შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დაკვირვება ბოლნისისა და ახალქალაქში როგორც საოლქო, ასევე საუბნო დონეზე.

კატეგორიის არსებობა შეესაბამება ერთიანი საარჩევნო კოდექსის 60-ე მუხლის მე-3 პუნქტს, 63-ე მუხლის მე-2 პუნქტს და 64-ე მუხლის მე-3 პუნქტს, სადაც ნათქვამია, რომ ყველა დონის კომისიების შემადგამებელი ოქმები უნდა მოიცავდეს ადგილს, სადაც ჩაიწერება "ყველას წინააღმდეგ" ხმის მიმცემი ამომრჩევლის რაოდენობა. თუმცა, არჩევნები წარმომადგენლების არჩევასთან არის დაკავშირებული, ხოლო "ყველას წინააღმდეგ" ხმის მიცემა ნიშნავს, რომ ადამიანი ირჩევს, საერთოდ არ იყოს წარმოდგენილი. ბიულეტენები, რომელიც დაიბეჭდა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნისათვის არ შეიცავდა ასეთ გრაფას და არც საარჩევნო კომისიას და არც ამომრჩეველს არ მიუღია რამე ინსტრუქცია, თუ როგორ შეიძლებოდა ხმის მიცემა "ყველას წინააღმდეგ". შეზღუდული სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა შენიშნეს, რომ ხმების დათვლის დროს კომისიები მოქმედებდნენ ვარაუდის საფუძველზე, როდესაც ცდილობდნენ განესაზღვრათ ბათილი ბიულეტენები და ის ბიულეტენები რომლებშიც ხმა ყველას წინააღმდეგ იყო მიცემული.

მისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად დამკვირვებლებს მოთხოვნისავე აწვდიდნენ ოქმების დამოწმებულ ასლებს, თუმცა, ნახევარზე მეტ უბანში, რომელიც მისიამ მოინახულა ეს ოქმები არ იყო გამოკრული საჯარო გაცნობისათვის, კანონის მოთხოვნის შესაბამისად.

#### დ. შედეგების შეჯამება და გამოცხადება

მიუხედავად იმისა, რომ უმეტესი საოლქო საარჩევნო კომისიები, რომელსაც ეწვივნენ მისიის წარმომადგენლები, უმცირესობებით დასახლებული ადგილების ჩათვლით, ძირითადად ცდილობდნენ წესის დაცვით მოეხდინათ ოქმების შევსება, ხშირად კჭონდა ადგილი პროცედურების დარღვევას საოლქო საარჩევნო კომისიების მხრიდან, რამაც უარყოფითი ზეგავლენა იქონია შედეგების შეფასების პროცესის მთლიან შეფასებაზე.

7 ოქტომბერს 4 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ახმეტაში<sup>57</sup>, დუშეთში<sup>58</sup> და გარდაბანში. 9 და 10 ოქტომბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააბათილა 29 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები, რომელშიც შედიოდა აბაშის №63 საარჩევნო ოლქში შემავალი ცხრამეტივე საარჩევნო უბანი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, აბაშაში და რამდენიმე სხვა უბანზე შედეგების გაბათილების ძირითადი მიზეზი იყო არჩევნების დღის ბოლოს უჩვეულოდ გაზრდილი ამომრჩეველთა აქტივობა, რაც აღქმული იქნა, როგორც საარჩევნო ყუთში ყალბი ბიულეტენების ჩაყრის შედეგი.

როგორც ჩანს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საოლქო საარჩევნო კომისიებს არ განუხორციელებიათ უსამართლო ქმედებები შედეგების

<sup>57</sup> ახმეტის მე-18 ოლქში შემავალ მე-13 საარჩევნო უბანზე რაღაც პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ერთი პროპორციული ბიულეტენი ეძლეოდა ამომრჩეველს, ვინაიდან არ იყო გარკვეული, ოფიციალურად გამოეთიშა მაჟორიტარი კანდიდატი არჩევნებს თუ არა.

<sup>58</sup> დუშეთის 28-ე საარჩევნო ოლქის 40-ე უბანმა შეცდომით მიიღო ნინოწმინდისათვის განკუთვნილი ბიულეტენები.

გაბათილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, და მათი გადაწყვეტილებები არ იყო გასაჩივრებული საარჩევნო სუბიექტების მიერ. მიუხედავად ამისა, კომისიები (და განსაკუთრებით ცენტრალური საარჩევნო კომისია) მაქსიმალურად იყენებდნენ ერთიანი საარჩევნო კოდექსის დებულებებს, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციას უფლებას აძლევს გააბათილოს შედეგები უხეში დარღვევების არსებობის შემთხვევაში. შედეგების გაბათილების მიზეზებს შორისაა როგორც საუბნო საარჩევნო კომისიებიდან არჩევნების დღეს მიღებული საჩივრები და ანგარიშები, ასევე ამომრჩეველთა აქტივობის უჩვეულო ზრდა და ელემენტარული ტექნიკური პრობლემები.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ასევე თითქოს განსხვავებულ ზომებს ღებულობდა დამრღვევების მიმართ ერთი და იგივე დარღვევისათვის. მან გამოსცა არაერთი გაფრთხილება იმ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის, სადაც ადგილი ჰქონდა დარღვევებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში დაითხოვა როგორც ცალკეული კომისიის წევრები, ასევე მთლიანად კომისიები. ერთი შემთხვევა გადაეცა პროკურატურას.

17 ოქტომბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განმეორებითი კენჭისყრა ჩატარა 28 საარჩევნო უბანზე<sup>59</sup>. აბაშაში განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდა როგორც მაჟორიტარული, ასევე პროპორციული სისტემით. ყველა სხვა ადგილას, სადაც ხელახალი კენჭისყრა გაიმართა, ამომრჩევლებმა მიიღეს მხოლოდ ერთი მაჟორიტარული ბიულეტენი. ერთიანი საარჩევნო კოდექსის 126-ე მუხლის 1 პუნქტის მიხედვით განმეორებითი კენჭისყრა არ ჩატარებულა იმ უბნებში, სადაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეფასებით გაბათილებული ხმები ვერ მოახდენდა ზეგავლენას მაჟორიტარულ შედეგებზე. შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას არ ჩაუტარებია განმეორებითი კენჭისყრის დაკვირვება.

5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების საბოლოო შედეგები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 9 ოქტომბერს გამოაქვეყნა თბილისის საკრებულოსათვის და 10 ოქტომბერს მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქებისათვის გარდა იმ ადგილებისა, სადაც შედეგები ბათილად იქნა ცნობილი დარღვევების გამო. განმეორებითი კენჭისყრის შემდეგ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 19 ოქტომბერს გამოაქვეყნა საბოლოო კონსოლიდირებული შედეგები. სამწუხაროდ, ცენტრალური საარჩევნო კომისია შედეგებს მის ვებ-გვერდზე დაგვიანებით ათავსებდა და ინფორმაცია ხშირად საჭიროებდა განახლებას ან იყო წინააღმდეგობრივი. მისასაღმებელია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია შეეცადა გამოექვეყნებინა პროპორციული შედეგები უბნების მიხედვით. თუმცა, ჯერ კიდევ ნოემბრის შუა რიცხვებში ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული მთლიანი და სრული მონაცემები ოქლებისა და უბნების მიხედვით. ამ კუთხით ჯერ კიდევ ძალაში რჩება ის რეკომენდაციები, რომელიც მოცემულია წინა არჩევნების დროს დამკვირვებელთა მისიების მიერ მომზადებულ ანგარიშებში და საკანონმდებლო განხილვებში.

<sup>59</sup> განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდა აბაშაში (19 უბანზე), ლიახვში (5 უბანზე), გარდაბანში (2 უბანზე), ახმეტასა და დუშეთში (1-1 უბანზე ორივე რაიონში).

### XIII. არჩევნების დღის შემდეგომი დაგეგმვა, საჩივრები და სარჩევნო

შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიისათვის სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილი გახდა არჩევნების დღეს და მის შემდეგ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში შეტანილი 70-ზე მეტი საჩივარის შესახებ. ეს საჩივრები შეეხებოდა როგორც მცირე, ასევე დიდი დარღვევებს არჩევნების დღეს, მათ შორის შემაჯამებელი ოქმების გაყალბებას, ყალბი ბიულეტენების ჩაყრას საარჩევნო ყუთში და პროცედურულ დარღვევებს, როგორცაა ხმის მიცემა მინდობილობის საფუძველზე და მარკირება.

თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიდა ორი სარჩევნო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ თბილისის საკრებულოში პროპორციული მანდატების გადანაწილების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებისთან დაკავშირებით (ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება 321). ბლოკი "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი" აცხადებდა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავისებური ინტერპრეტაცია გაუკეთა ერთიანი საარჩევნო კოდექსის 126<sup>13</sup>-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც ბლოკმა ვერ მოიპოვა მეორე მანდატი. ბლოკის განცხადებით მან ორჯერ მეტი ხმა მიიღო ვიდრე მრეწველებმა, რომლებმაც მიიღეს სადავო მანდატი, და შესთავაზეს კოდექსის ალტერნატიული ინტერპრეტაცია<sup>60</sup>. მეორე მოსარჩელემ, საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ დაწერა რამდენიმე საჩივარი, რომელიც ძირითადად შეეხებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენებას, ამომრჩეველთა მოსყიდვასა და არჩევნების დღეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორების საარჩევნო უბნების წინ განთავსებით ამომრჩევლების დაშინებას. პარტია ასევე ითხოვდა მთელი თბილისის შედეგების გაუქმებას. სასამართლომ არ მისცა მოსარჩევეებს უფლება წარმოედგინათ მოწმეები და ორივე საჩივარი უარყოფილი იქნა.

### XIV. რეკომენდაციები

საარჩევნო პრაქტიკის სასურველი გაუმჯობესების მიზნით OSCE/ODIHR საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად თავაზობს ქვემოთ მოყვანილ რეკომენდაციებს. ეს რეკომენდაციები განხილული უნდა იყოს OSCE/ODIHR-ის წინა საბოლოო ანგარიშებში მოცემულ რეკომენდაციებთან ერთად.

#### ა. ზოგადი ნაწილი

---

<sup>60</sup> ხმათა უმრავლესობის მქონე სუბიექტებისათვის სადავო მანდატების გამოყოფის მაგივრად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩია ერთი მანდატი მიეკუთვნებინა მრეწველებისათვის 4%-იანი ბარიერის გადალახვის გამო (126<sup>13</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენებით) და მეორე ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის, ვინაიდან მათ მიიღეს ყველაზე მეტი ხმა (126<sup>13</sup>-ე მუხლის მე-6 პუნქტის გამოყენებით).

1. ხელისუფლებამ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს საარჩევნო კანონმდებლობის სრული და ერთგვაროვანი განხორციელებისათვის.
2. ხელისუფლებამ უნდა გაიღოს დამატებითი ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს სასამართლო სისტემის გააძლიერება და მისი დამოუკიდებლობა.

**ბ. საკანონმდებლო ჩარჩო**

3. თბილისის საკრებულოსათვის ახლადმიღებული საარჩევნო სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები, რომელიც ასევე მოიცავს მაჟორიტარი კანდიდატებისა და პარტიული სიების რეგისტრაციის მარეგულირებელ ნორმებს, უფრო გარკვეულად და დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი, რათა თავიდან იქნას აცილებული არსებული გაუგებრობები და არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.
4. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ დასახელებულ დამოუკიდებელ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ უფლება მიიღონ მონაწილეობა თბილისის საკრებულოს არჩევნებში.
5. განხილულ უნდა იქნას საკითხი პარლამენტის წევრის მანდატის შეუთავსებლობისა საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენისათვის. ვინაიდან ეს შეზღუდვა შეიძლება გადაჭარბებული იყოს.
6. უნდა გაუმჯობესდეს კანონმდებლობის ერთგვაროვნება და თანამიმდევრულობა. კანონი გარკვევით უნდა ადგენდეს, შესაბამისი ნორმა ზოგადია თუ მხოლოდ ზოგიერთ ან ყველა არჩევნებს უკავშირდება. როგორც წესი, ზოგადი ხასიათის ნორმები უნდა ვრცელდებოდეს ყველა სახის არჩევნებზე (მაგ, საარჩევნო უბნების მიერ შედეგების გამოქვეყნების მოთხოვნა უნდა ვრცელდებოდეს ყველა არჩევნებზე და არამხოლოდ ზოგიერთ მათგანზე).
7. საარჩევნო კოდექსის მე-60-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან, 63-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან და 64-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოღებული უნდა იყოს ნორმები რომელიც დაკავშირებულია "ყველას წინააღმდეგ" ხმის მიცემასთან და მათი საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმებში შეტანასთან.

**გ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია**

8. უნდა გაგრძელდეს ამომრჩეველთა სიების კონსოლიდაცია და მოწესრიგება. ინფორმაციის განახლება მუდმივად უნდა ხდებოდეს, რათა შენარჩუნებული იყოს და კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მისი სიზუსტე. ამ პროცესზე პასუხისმგებლობა ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული.
9. ამომრჩეველთა სიაში შეყვანისათვის სასამართლოში სარჩელის წარსადგენად დაწესებული გადასახდელი საგრძნობლად უნდა შემცირდეს, ან საერთოდ ამოღებული უნდა იქნას კანონიდან. სასურველია გათვალისწინებულ იქნას სასამართლო გადაწყვეტილებით საარჩევნო სიაში ამომრჩევლის შეყვანისათვის დაწესებული ვადის გაზრდა.

10. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ კანონმდებლობის მოთხოვნა არჩევნების დღემდე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობის გამოქვეყნების შესახებ ოლქების, ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქებისა და უბნების მიხედვით სათანადოდ განხორციელდეს. ცენტრალური საარჩევნო კომისია ასევე ვალდებული უნდა იყოს თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს რეგისტრირებული ამომრჩევლის საბოლოო რაოდენობა (მათ შორის არჩევნების დღეს რეგისტრირებულ იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებიც რეგისტრაციას გაივლიან საზღვარგარეთიდან ჩამოსული, საავადმყოფოდან ან
11. სასჯელადსრულებითი დაწესებულებიდან გამოშვებული ადამიანებისათვის დადგენილი განსაკუთრებული პროცედურის მიხედვით).
12. საჭიროა ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომელიც თავიდან აიცილებს ორმაგ რეგისტრაციას იმ ადამიანებისა, რომლებიც არიან, მაგალითად, სამხედრო ან სხვა კატეგორიის ამომრჩევლები და დამატებით არიან რეგისტრირებულნი გამონაკლისის სახით შექმნილ საარჩევნო უბნებზე.

დ. საარჩევნო ადმინისტრაცია

13. საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბებისა და შემადგენლობის განსაზღვრის ფორმულა, რომელიც პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას საშუალებას აძლევს დომინანტური როლი ითამაშონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყველა წევრის შერჩევის პროცესში და განუსაზღვრელ კონტროლს აძლევს მთლიან საარჩევნო ადმინისტრაციაზე, გადახედილი უნდა იქნას სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინებით.
14. საარჩევნო კომისიების კოლეგიალურობის გაზრდის მიზნით გადახედილი უნდა იქნას ის საკანონმდებლო ნორმები, რომელიც საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს ანიჭებს სპეციალურ უფლებამოსილებას (გადამწყვეტი ხმის უფლება, განკარგულებების გამოცემის უფლება, მოადგილის კანდიდატურის დასახელების მონოპოლიური უფლება).
15. ერთიან საარჩევნო კოდექსში უნდა იყოს მოცემული გარკვეული დამცავი მექანიზმები საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე რომელიმე პოლიტიკური პარტიის დომინანტობის თავიდან ასაცილებლად.
16. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გააუმჯობესოს მისი კომუნიკაცია საოლქო საარჩევნო კომისიებთან და საუბნო საარჩევნო კომისიებთან, რათა ყველა მისი ინსტრუქცია და გადაწყვეტილება გადაეცემოდეს ქვედა დონის კომისიებს და განხორციელდეს დროულად და ერთგვაროვნად.
17. სასურველია მოხდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მხარდამჭერთა ხელმოწერების შემოწმების მარეგულირებელი ნორმების შემდგომი პროცედურული დაზუსტება, რეგულაციები უფრო გაუმჯობესდება, რათა გამოირიცხოს საარჩევნო სუბიექტებისათვის

რეგისტრაციაზე არამართლზომიერი უარის თქმის შესაძლებლობა ხელმოწერების შეგროვებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გამო.

18. ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა ეცადოს და უფრო ფართოდ გამოიყენოს მისი ვებ-გვერდი, როგორც საზოგადოების ინფორმირების საშუალება და უზრუნველყოს რომ მის ვებ-გვერდზე მოთავსებული ინფორმაცია არის სწორი, განახლებული და ერთგვაროვანი.

**ე- ეროვნული უმცირესობები**

19. ის ძალისხმევა, რომელიც მთავრობამ გაიღო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების დროს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში საარჩევნო კომისიების წევრების მათვის სასურველ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით, რეგულარულ პრაქტიკად უნდა გადაიქცეს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს რამდენიმე ენაზე მოსაუბრე ტრენერების უფრო მაღალი კვალიფიკაცია. არჩევნებთან დაკავშირებული ძირითადი საარჩევნო ინფორმაციისა და მასალების, განსაკუთრებით კი საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების უმცირესობების ენაზე დაბეჭდვა ხელს შეუწყობს პროცესის სრულყოფას და საარჩევნო ორგანოების მუშაობას უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში.

**ვ- კამპანია და კამპანიის დაფინანსება**

20. არჩევნების პერიოდში უნდა არსებობდეს ნათელი ზღვარი ერთის მხრივ სახელმწიფოსა და მის საქმიანობასა და მეორეს მხრივ საარჩევნო სუბიექტებსა და საარჩევნო კამპანიას შორის. აღნიშნული მთლიანად უნდა იქნას დაცული კანდიდატების მიერ კამპანიის მიმდინარეობის დროს, რათა არ დაირღვეს კონკურსანტებს შორის თანაბარი შესაძლებლობების არსებობის პრინციპი და უზრუნველყოფილ იქნას 1990 წლის ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 მუხლის დაცვა.
21. კოდექსმა თანაბარი შეზღუდვები უნდა დააწესოს ყველა მერსა თუ გამგებელს თბილისსა თუ ქვეყნის სხვა ადგილებში, საარჩევნო პერიოდის დროს მათ ქცევასთან დაკავშირებით. შესაძლოა განხილულ იქნას ყველა არჩეული თუ დანიშნული თანამდებობის პირისათვის, რომელიც მონაწილეობას ღებულობს არჩევნებში, თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვა.
22. რაც შეეხება სუბიექტების საარჩევნო კამპანიის სახელმწიფო დაფინანსებასა და უფასო საეთერო დროისა და უფასო ადგილის გამოყენებას, საჭიროა გათვალისწინებული იყოს მედია კამპანიის დაწყებისათვის ერთიანი თარიღის დადგენა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის, რაც რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდეგ მოხდება.
23. კოდექსის ნორმები, რომელიც ეხება საარჩევნო კამპანიის აკრძალვას, უფრო კარგად უნდა იქნას დაზუსტებული, რათა დადგინდეს მისი ხანგრძლივობა და ის საქმიანობა, რომელიც აკრძალულია ასეთი პერიოდის განმავლობაში.

24. უფრო მეტად უნდა დაზუსტდეს ის საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც ყველა კატეგორიის საარჩევნო სუბიექტს ავალდებულებს გახსნას კამპანიისათვის საჭირო ფონდი.
25. საარჩევნო სუბიექტები ვალდებულები უნდა იყონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინონ ინფორმაცია კამპანიის დაფინანსების შესახებ, რათა მოხდეს მისი გამოქვეყნება არჩევნების დღემდე რეგულარული ინტერვალებით.

**ზ. მედია**

26. ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსის გადახედვა და ჩამოაყალიბოს დაფინანსების გარკვეული და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ შემოსავალს და რომელიც შეამცირებს მის დამოკიდებულებას სახელმწიფო ბიუჯეტზე.
27. საზოგადოებრივი მაუწყებლობა და სახელმწიფოს დაფინანსებაზე მყოფი სხვა მედია უნდა ეცადოს უზრუნველყოს ნეიტრალურობა და ობიექტურობა საარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს. მოვლენების გაშუქება უნდა იყოს დაბალანსებული და ფაქტებზე დაფუძნებული, მათ შორის ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებითაც. მედიამ ამომრჩეველს საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტების შესახებ უნდა მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით, უფასო თუ ფასიანი რეკლამების მიღმა და ამგვარად შექმნას ერთგვარი სადისკუსიო ფორუმი ყველა მონაწილისათვის.
28. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს არჩევნების დროს საკუთარი მედია მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობა, რათა გამოვლინდეს არათანაბარი და უპირატესი გაშუქების ფაქტები ან უფასო თუ ფასიანი საეთერო დროის/ადგილის გამოყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევა.
29. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა უზრუნველყოს ერთიანი საარჩევნო კოდექსის იმ მოთხოვნების განხორციელება და მათზე ზედამხედველობა, რომელიც მედიის საშუალებებს ავალდებულებს წარადგინონ ინფორმაცია მათი არჩევნებთან დაკავშირებით საქმიანობის ირგვლივ, რომელიც ასევე მოიცავს ინფორმაციას გამოყოფილი უფასო თუ ფასიანი დროის/ადგილის შესახებ, კამპანიის მასალების ეთერში გაშვების/დაბეჭდვის განრიგსა და ტარიფებს. გათვალისწინებული უნდა იქნას ასეთი ინფორმაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ გვერდზე მოთავსების შესაძლებლობა.
30. ერთიან საარჩევნო კოდექსში გათვალისწინებული ნორმები, რომელიც უფასო საეთერო დროის გამოყოფას შეეხება, უნდა შეიცვალოს რათა დადგინდეს ის მინიმალური უფასო საეთერო დრო რომელიც "არაკვალიფიცირებულ" საარჩევნო სუბიექტს უნდა გამოეყოს. უფრო მეტიც, სასურველია ჩამოყალიბდეს გარკვეული იურიდიული კრიტერიუმი, რომელიც დაადგენს თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს საარჩევნო სუბიექტი უფასო საეთერო დროის გამოსაყოფად და აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება არ ხდებოდეს მაუწყებლის მიერ, ვინაიდან უკანასკნელმა შეიძლება გამოიწვიოს

დაუსაბუთებელი უარის თქმის და განხორციელების პროცესში წინააღმდეგობების წარმოშობის შემთხვევები.

31. მედიის საშუალებების მიერ საარჩევნო სუბიექტებისათვის დადგენილი უფასო დროის გამოყოფის მოთხოვნის დარღვევისათვის, ასევე 73-73<sup>1</sup> მუხლებში მოცემული მოთხოვნების დარღვევისათვის დადგენილი ზომები უფრო გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს, ხოლო 73-ე მუხლის მე-19 პუნქტსა და 77-ე მუხლში უნდა შევიდეს შესამაბისი ცვლილებები დროული, ეფექტური და წინასწარ განსაზღვრული პროცედურის ჩამოყალიბების მიზნით.

**თ. სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი დამკვირვებლები**

32. ადგილობრივმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და რეგისტრირებულმა საარჩევნო სუბიექტებმა, რომლებიც არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე მიაგლენენ თავიანთ წარმომადგენლებს, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მათი დამკვირვებლების შესაძლებლობების განვითარებას და ტრენინგს, რათა დაცული იყოს არჩევნების დროს დაკვირვებასთან დაკავშირებული ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორცაა პროცესში ჩაურევლობა და მიუკერძოებლობა.

**ი. არჩევნების დღე**

33. საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრმა უნდა გაიაროს ამომწურავი ტრენინგი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ხმების დათვლის პროცედურას და შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესებს.
34. საჭიროა საუბნო კომისიების შიგნით ვიდეო ჩანაწერების გაკეთებისა და ზედამხედველობის პრაქტიკის გადასინჯვა მისი გაუქმების მიზნით, რათა ეჭვის ქვეშ არ დადგეს კენჭისყრის ფარულობა და საარჩევნო პროცესისადმი ნდობა, ასევე გამოირიცხოს ამომრჩევლების შეშინების პოტენციური ფაქტორი.
35. არჩევნების დღეს ამომრჩეველთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ საკითხებს საარჩევნო კოდექსი უნდა არეგულირებდეს.
36. უფრო მეტად უნდა შესრულდეს კანონის მოთხოვნა საუბნო საარჩევნო კომისიებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ხმების დათვლის შემდეგ შემაჯამებელი ოქმების გამოკვრის შესახებ საჯარო გაცნობისათვის. კომისიები ვალდებული უნდა იყვნენ, რომ შემაჯამებელი ოქმები საარჩევნო კომისიების შენობაში განათავსონ სულ მცირე 3 დღის განმავლობაში ხმების დათვლის დასრულების შემდეგ.
37. ერთიანი საარჩევნო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც შედეგების გაბათილებასა და ხმების ხელახალ დათვლას ეხება, დაწვრილებით უნდა იქნას განხილული და შეცვლილი ისე, რომ ნათლად იყოს განსაზღვრული ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული გაუქმებისათვის საჭირო წინაპირობები.
38. ის ადამიანები, რომლებიც დამნაშავეებად იქნებიან მიხნეულნი არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების ჩადენასა თუ

ხელშეწყობაში, პასუხისგებაში უნდა მიეცენ დროულად და ერთგვაროვნად.

39. ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებული უნდა იყოს გამოაქვეყნოს საბოლოო დეტალური შედეგები როგორც საარჩევნო ოლქების მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, ასევე საარჩევნო უბნების მიხედვით უბნების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, დროულად და შესაბამისი წესის დაცვით, მათ შორის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე.

**დანართი: არჩევნების ოფიციალური შედეგები**

ოფიციალური შემაჯამებელი ოქმების მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.52 მილიონმა ადამიანმა (რეგისტრირებული ამომრჩევლის 47.4%). ამომრჩეველთა აქტივობა უფრო დაბალი იყო თბილისში (34.7%), ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში (52.2%). ბათილი ბიულეტენების პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით უფრო ნაკლები იყო თბილისში (0.9%), ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ადგილებში (2.7% მაჟორიტარული და 2.9% პროპორციული ბიულეტენი). 2,901 "ყველას წინააღმდეგ" მიცემული ხმა დაფიქსირდა თბილისში, ხოლო 16,723 ქვეყნის სხვა ადგილებში.

ოფიციალური საბოლოო შედეგები ყველა პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო სუბიექტისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

| საარჩევნო სუბიექტი                                  | თბილისი (მანდატი) |       | საქართველოს დანარჩენი ნაწილი (მანდატი) |       | მანდატები (სულ) | მანდატები (%) |
|---|-------------------|-------|--|-------|-----------------|---------------|
|   | მაჟორ.            | პროპ. | მაჟორ.                                 | პროპ. |                 |               |
| მრეწველები ('მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს')    | 0                 | 1     | 4                                      | 23    | 28              | 1.6 %         |
| საქართველოს ლეიბორისტული პარტია                     | 0                 | 1     | 5                                      | 34    | 40              | 2.3 %         |
| ერთიანი ნაციონალური მოძრაობა                        | 25                | 9     | 927                                    | 578   | 1539            | 88.8 %        |
| როვნული იდეოლოგიის პარტია                           | 0                 | 0     | -                                      | -     | 0               | 0 %           |
| საქართველოს გზა                                     | 0                 | 0     | 3                                      | 0     | 3               | 0.2 %         |
| საარჩევნო ბლოკი დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი | 0                 | 1     | 9                                      | 45    | 55              | 3.2 %         |
| დამოუკიდებლები                                      | -                 | -     | 68                                     | -     | 68              | 3.9 %         |
| მანდატების დაოდენობა                                | 25                | 12    | 1016                                   | 680   | 1733            | 100 %         |

2006 წლის 14 ნოემბრამდე მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით საკრებულოს ახლადარჩეულ 17 წევრს, უმეტესად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს შეუწყდათ უფლებამოსილება. შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ვერ შეძლო დაედგინა, იყო თუ არა ეს ნებაყოფლობითი, თუ მოხდა რომელიმე არჩეული კანდიდატის დერეგისტრაცია არჩევნების შემდეგ აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე.

## ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არის ეუთო-ს ძირითადი ინსტიტუტი, რომელიც ეხმარება ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სრული დაცვის უზრუნველყოფაში, კანონის უზენაესობის დაცვაში, დემოკრატიის პრინციპებისათვის ხელის შეწყობაში და (...) დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, გაძლიერებასა და დაცვაში და ასევე მთელს საზოგადოებაში შემწყნარებლობის დამკვიდრებაში.“ (1992 წლის ჰელსინკის დოკუმენტი).

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში განლაგებული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი შეიქმნა როგორც თავისუფალი არჩევნების ოფისი 1990 წლის პარიზის სამიტზე და მუშაობა 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ, ოფისის სახელწოდება შეიცვალა, რათა ასახულიყო მისი გაფართოებული მანდატი, რომელიც ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიზაციაზეც გავრცელდა. დღეს მას 100-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არჩევნებზე დაკვირვების სფეროში ევროპის წამყვანი ორგანიზაციაა. ყოველწლიურად, ის კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს ათასობით დამკვირვებლის მივლინებას, რათა შეაფასოს, თუ რამდენად შეესაბამება ეუთო-ს სივრცეში გამართული არჩევნები ადგილობრივ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. მისი უნიკალური მეთოდოლოგია საარჩევნო პროცესის ყველა ელემენტის დეტალურად შესწავლის საშუალებას იძლევა. დახმარების პროექტების მეშვეობით, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი წევრ სახელმწიფოებს მათი საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებაში ეხმარება.

დემოკრატიზაციასთან დაკავშირებული ოფისის საქმიანობა შეიცავს შემდეგ თემატურ სფეროებს: კანონის უზენაესობა, საკანონმდებლო მხარდაჭერა, დემოკრატიული მმართველობა, სამოქალაქო საზოგადოება, მიგრაცია და გადაადგილების თავისუფლება, გენდერული თანასწორობა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად ახორციელებს მიზნობრივი დახმარების რამოდენიმე პროგრამას, რათა გაადვილოს და გააუმჯობესოს სახელმწიფოების მიერ ეუთო-ს ვალდებულებების შესრულება და დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი აკვირდება წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ეუთო-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ეხმარება მათ ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებაში. ის ასევე აწყობს წელიწადში რამოდენიმე შეხვედრას, რათა განიხილოს წევრი სახელმწიფოების მიერ ეუთოს ვალდებულებების შესრულება.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი წევრ სახელმწიფოებს რჩევით ეხმარება რომასა და სინტისთან დაკავშირებულ პოლიტიკის გატარებაში. ის ხელს უწყობს რომასა და სინტის თემებში შესაძლებლობების გაზრდასა და კავშირების განვითარებას და მხარს უჭერს რომას და სინტის წარმომადგენლების მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელი ორგანოების საქმიანობაში. ოფისი ასევე მოქმედებს, როგორც სინტისა და რომას საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის ფორუმი ეროვნულ და საერთაშორისო მოღვაწეთა შორის.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქმიანობა ემყარება მჭიდრო კოორდინაციასა და თანამშრომლობას ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებთან, ეუთო-ს ორგანოებთან და ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ვებ-გვერდზე ([www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)).